# სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 29 სექტემბერი 2004 №226 (2247) ფასი 50 თეთრი


# ბურთი გაგორდა კამათელივით

REUTERS მიმოხილვიდან

## ლუნიმ ეუფაქების ჯარი აიღო ესი არა, აისლო

# ხვალ ეროვნულზე სახალხო თამაშია

ხვალ „დინამომ“ „ვისლა“ თუ დაამარცხა...

თითქოს ძალიან იოლია იმის თქმა, თუ რა მოხდება „დინამოს“ გამარჯვების შემთხვევაში, მაგრამ რომ დაუფიქრდები, მხოლოდ ეგრეც არ არის.

ხვალ „დინამომ“ „ვისლას“ თუ მოუგო, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს, რაც უდიდესი წარმატება იქნება დამოუკიდებლობის შემდგომი ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ თავში როგორც ვთქვით, მხოლოდ ეგ არ არის.

ქართულ ფეხბურთს დღეს მაყურებელი არ ჰყავს! ეს ფრიად სამწუხარო ფაქტია იმ ქვეყნისთვის, სადაც ფეხბურთი თითქმის ყველაფერია. საქართველოს ნაკრების მატჩებიც კი ვერ ავსებს სრულად თუნდაც 25-ათასიან სტადიონს.

ბოლო წლებია, ხალხისთვის ფეხბურთი ტელევიზორში ნანახი იტალიის თუ ინგლისის ჩემპიონატებია. საქართველოში საფუძვლიანად მოიშალა აბონემენტებზე თავპირისმტვრევის ტრადიცია. შაბათ-კვირას მამები აღარ ჩაჰკიდებენ-ხოლმე შვილებს ხელს და აღარ მიჰყავთ ზეიმზე — სტადიონზე.

ჩვენ შორს ვართ იმ რწმენისგან, რომ „დინამო“ უეფას თასის ჯგუფში თუ მოხვდება, ყველა ძველი ტრადიცია აღდგება. ის ძველი ვეღარასდროს აღდგება, მაგრამ „დინამოს“ ჯგუფში მოხვედრა შესაძლოა გულშემატკივრისთვის ახალი ტრადიციის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცეს. ოღონდაც ამისთვის ერთი კონკრეტული თამაშის მოგება საკმარისი ვერ იქნება. საჭიროა, რომ ქართული გუნდებიდან თუნდაც ერთმა რომელიმემ ყოველწლიურად შეძლოს-ხოლმე ჯგუფში მოხვედრა და ეს სისტემატიურობა კი უეჭველად გამოიწვევს ხალხის სტადიონისკენ დაძვრას.

ყველაფერი რაღაცით უნდა დაიწყოს. და რატომ არ უნდა დაიწყოს „დინამოსგან“ „ვისლას“ დამარცხებით?

# ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

## ჯგუფური ეტაპი. II ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**მონაკო 2:0 დეპორტივო**

1:0 კალონი (5), 2:0 სავიოლა (10)

**მონაკო:** რომა, გივე, ჟ. როდრიგესი, სკილაჩი, ევრა (მოდესტო 85), მაიკონი, ზიკოსი (დ. პერესი 58), ფარნერუდი, კალონი, სავიოლა, ადებაიორი (ჩევანტონი 78)

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, პაბლო ამო, კაპდევილა, დუშერი, სერხიო (სკალონი 46), ფრანი (მუნტისი 63), ვიქტორი, ვალეერონი, პანდიანი (ლუკე 56)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ჟორჟე ანდრადე, სერხიო, ევრა

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

15 000 მაყურებელი

**ოლიმპიაკოსი 1:0 ლივერპული**

1:0 სტოლტიდისი (17)

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (ვენეტიდისი 71), ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, რივალდო, სტოლტიდისი, კაფესი, გეორგატოსი (ვალასი 85), ჯოვანი (გეორგიადისი 71), ოკასი

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

**ლივერპული:** დუდეკი, ხოსემი (ჯ. სისე 73), კარაგერი, ჰიპია, რიისე, ფინანი, ხაბი ალონსო, ჰამანი, უორნოკი (კოუელი 46), ლუის გარსია, ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ანატოლაკისი, პანტოსი, უორნოკი, მავროგენიდისი, პანტოსი, შურერი, ფინანი

გაძევება: პანტოსი (82)

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

33 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**

მონაკო — ოლიმპიაკოსი

ლივერპული — დეპორტივო

### B ჯგუფი

**დინამო 4:2 ლევერკუზენი**

1:0 რინკონი (30), 1:1 ვორონინი (59), 1:2 ნოვოტნი (68), 2:2 რინკონი (69), 3:2, 4:2 ჩერნატი (73, 90)

**დინამო:** შოვკოვსკი, საბლიჩი, გიოანე (ო. გუსევი 55), ელ კადური, გავრანჩიჩი, როდოლფო, ლეკო (ჩერნატი 70), რინკონი, იუსუფი, კლებერი, ვერპაკოვსკისი (შაცკიხი 58)

მწვრთნელი: იოზეფ საბო

**ლევერკუზენი:** ბუტი, შნაიდერი, ნოვოტნი, ჟუანი, პლასენტე (ბაბიჩი 79), რამელო, ფრაიერი (ჯონსი 75), პონტე, კრუინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა (ვორონინი 51)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ვერპაკოვსკისი, პონტე, პლასენტე, ვორონინი, ვორონინი

გაძევება: ვორონინი (83)

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

83 000 მაყურებელი

**რეალი 4:2 რომა**

0:1 დე როსი (3), 0:2 კასანო (22), 1:2 რაული (39), 2:2 ფიგუ (53პ), 3:2 რაული (72), 4:2 რობერტო კარლოსი (79)

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბეკჰამი, სელადესი (გუტი 64), ზიდანი, რაული (პავონი 82), რონალდო (რაულ ბრავო 85)

მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი

**რომა:** პელიცოლი, პანუჩი, დელასი, კუფრე, კანდელა (სარტორი 61), მასსინი, პროტა, დაკური, დე როსი (მიდო 76), ტოტი, კასანო

მწვრთნელი: ეციო სელა

გაფრთხილება: სელადესი, ელგერა, პანუჩი, სამუელი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

55 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**

რეალი — დინამო

ლევერკუზენი — რომა

### C ჯგუფი

**ბაიერნი 4:0 აიაქსი**

1:0, 2:0, 3:0 მაკაი (28, 44, 52პ), 4:0 ზე რობერტო (55)

**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, კუფური, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი (იერემისი 80), ფრინგსი (ჰაშემიანი 80), ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო (დაისლერი 59)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

**აიაქსი:** ლობონტი, ნ. დე იონგი, გრიგერა, ჰეიტინგა (ესკუდე 63), მაქსველი, ობოდაი, სნეიდერი, გალაშეკი (მიტია 52), ვან დერ ვაარტი, სონკი, მ. როსალესი (დე რიდერი 70)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: სალიჰამიჯიჩი, ობოდაი, ბალაკი, სნეიდერი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

50 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 მაკაბი**

1:0 კამორანეზი (37)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ტურამი, ტუდორი, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ტაკინარდი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი (ოლივერა 79), ტრეზეგე

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

**მაკაბი:** შტრაუბერი, პანციელი, ჯოვანინი, სტროოლი, ნაგარი, რეისი, მიშაელოფი (მბამბა 76), ტ. კოენი, ბიტონი (ბუნფელდი 69), მესიკა, ი. ადო

მწვრთნელი: ნირ კლინგერი

გაფრთხილება: ნაგარი, ბიტონი, იბრაჰიმოვიჩი, ემერსონი, კამორანეზი

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

6 494 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| მაკაბი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| აიაქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**

იუვენტუსი — ბაიერნი

აიაქსი — მაკაბი

### D ჯგუფი

**მანჩესტერი 6:2 ფენერბაჰჩე**

1:0 გიგზი (7), 2:0, 3:0 რუნი (17, 28), 3:1 ნობრე (46), 4:1 რუნი (54), 4:2 თუნჯაი (59), 5:2 ვან ნისტელროი (78), 6:2 ბელიონი (81)

**მანჩესტერი:** კროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე (ფ. ნევილი 81), ბელიონი, ჯემბა-ჯემბა, კლებერსონი, გიგზი (ფლეტჩერი 63), ვან ნისტელროი (მილერი 81), რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**ფენერბაჰჩე:** რუშუუ, ფაბიო ლუსიანო, ფათიჰი (სერპათი 61), დენიზი, უმით ოზატი, ალექსი, მარკო აურელიო, სერქანი, ნობრე, თუნჯაი, ვან ჰოიდონკი

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

გაფრთხილება: მარკო აურელიო, სერქანი, ჰაინცე

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

67 128 მაყურებელი

**სპარტა 1:2 ლიონი**

1:0 იუნი (7), 1:1 ესიენი (25), 1:2 ვილტორდი (58)

**სპარტა:** ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, მ. ჩეხი (ვორიშეკი 46), პობორსკი, შივოკი, ზელენკა (ბარანეკი 82), ურბანეკი, იუნი, პაჩანდა (სტრიპავკა 61)

მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა

**ლიონი:** კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, ბერტოდი, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო (ლ. დიატა 83), ვილტორდი (ფრო 73), მალუდა, მ. დიარა, გოვუ (ნილმარი 86)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

გაფრთხილება: შივოკი

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

12 050 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:4 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| სპარტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**

სპარტა — მანჩესტერი

ფენერბაჰჩე — ლიონი

# რუნი ყოფილან ეს მანჩესტერელები!




REUTERS მანჩესტერიდან

ჰეთთრიქოსანი უეინ რუნი

ყველაზე მეტი გოლი წუხელ „ოლდ ტრეფორდზე“ გავიდა, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ 6:2 მოუგო. სამი გოლი 18 წლის უეინ რუნიმ გაიტანა — ასეთი გახლდათ ვარსკვლავიჭუნას დებიუტი „მანჩესტერის“ შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ „ევერტონიდან“ „მანჩესტერში“ 48,9 მილიონ დოლარად აგვისტოში გადასულ რუნის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის შემდეგ მოედანზე ფეხი არ დაუდგამს, ტრავმას მკურნალობდა. და, აი, ხანგრძლივი დასვენების შემდეგ პირველივე თამაშის მე-17 წუთზე რუნიმ დაიქუხა. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ „ფენერბაჰჩე“ ის გუნდია, რომელმაც 1996 წელს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონთა ლიგაში პირველი საშინაო მარცხი აგემა, მაგრამ წუხელ ინგლისელებმა შური შთამბეჭდავად იძიეს.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მისი პირველი თამაში იყო, რუნიმ დიდებულად ითამაშა — განაცხადა ტელეკომპანია ITV-სთან საუბარში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა — ვფიქრობ, ყველამ დაინახა რა პოტენციისაც არის ეს ბიჭი. მინდა დავძინო, რომ შეტევაში მთელმა გუნდმა გონივრულად იმოქმედა. ყველაფერი სწორედ ჩვენმა შეტევამ განაპირობა, თორემ „ფენერბაჰჩემ“ ძალიან კარგი ზეწოლაც მოგვიწყო და საჯარიმოს მისადგომებიდან ძალიან სახიფათოდ ურტყეს“.

ეს გახლდათ D ჯგუფის შეხვედრა. ამავე ჯგუფში საფრანგეთის ნაკრების ფორვარდის, სილვენ ვილტორდის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა გოლმა გადაწყვიტა „ლიონისა“ და პრაღის „სპარტას“ თამაშის ბედი — ფრანგებმა 2:1 მოიგეს. ანგარიში მოხდენილი თავურით ჩეხმა ტომაშ იუნმა გახსნა, მაგრამ მიკაელ ესიენმა პირველსავე ტაიმში შორეული დარტყმით გაქვითა, ხოლო შესვენების შემდეგ ვილტორდმა გარღვევა მეორე გოლით დაასრულა.

ექვსი გოლი გავიდა მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სადაც „რომა“ „რეალს“ 2:0-ს უგებდა, მაგრამ ოთხი გოლი გაუშვა და წააგო. შეხვედრა დაძაბული, დინამიკური და საინტერესო გამოდგა, ოღონდ იყო ერთი საეჭვო ეპიზოდი, როდესაც რუსმა მსაჯმა ვალენტინ ივანოვმა „რომას“ კარში პენალტი დანიშნა — მან კრისტიან პანუჩი რაულისთვის ხელის კვრაში დაადანაშაულა. პენალტით ან პანუჩი რაულისთვის ხელის კვრაში დაადანაშაულა. პენალტით ლუიშ ფიგუმ გაათანაბრა ანგარიში. ამ ეპიზოდის გარდა რაულმა კიდევ ორ მომენტში მიაღწია წარმატებას, გოლები გაიტანა, ხოლო ბოლოს რობერტო კარლოსმა დაარტყა შორიდან მშვენივრად, პირდაპირ ცხრიანში.

ამავე B ჯგუფში კიევის „დინამომ“ „ლევერკუზენს“ უმასპინძლა და 4:2 მოუგო. ამრიგად, კიეველები ორი თამაშიდან ორი გამარჯვებით (მერე რა, რომ პირველი გამარჯვება ტექნიკური ხასიათისა ჰქონდათ — რომში ქომაგებმა თამაში ჩაშალეს და გამარჯვება 3:0 „დინამოს“ მიენიჭა) ცხრილს ლიდერობენ. ეს თამაშიც დრამატული გამოდგა. საკმარისია ითქვას, რომ 68-ე წუთზე 2:1-ს გერმანელები იგებდნენ, მაგრამ...

C ჯგუფში მიუნხენის „ბაიერნმა“ „აიაქსს“ 4:0 მოუგო, ოღონდ იმისა არ იყოს, ხემ თქვა, ცული რას დამაკლებს, ჩემნაირი რომ არ ერიოსო, ჰოლანდიელებს ოთხიდან სამი სწორედ ჰოლანდიელმა როი მაკაიმ გაუტანათ. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში „იუვენტუსმა“ თელ ავივის „მაკაბის“ 1:0 მოუგო. ერთადერი გოლი პაველ ნედვედის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთის თავით ღონივრად დარტყმამ მოიტანა და ეს მაურო კამორანეზიმ შეძლო.

A ჯგუფში კი „ოლიმპიაკოსმა“ „ლივერპული“ დაამარცხა 1:0. მიუხედავად მოკრძალებული ანგარიშისა, ბრაზილიელი ვეტერანის, რივალდოს აყოლილი პირეოსელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას.

„მონაკომ“ „დეპორტივოს“ კალონისა და სავიოლას მიერ პირველ 10 წუთში გატანილი გოლებით 2:0 მოუგო.

**პაპუნა კედია**

### ინგლისი

**ჩემპიონატი. XI ტური**

ბარნლი 1:0 კარდიფი

ჯილინგემი 0:2 ლესტერი

იფსვიჩი 1:1 რედინგი

ლიდსი 0:0 სტოკი

პრესტონი 1:1 პლიმუთი

ძუინზ პარკი 4:1 ძოვენთრი

როტერჰემი 2:3 ძრიუ

შეფილდ იუნ. 1:0 სანდერლენდი

უოტფორდი 0:0 უიგანი

ვულვზი — მილუოლი გადაიდო

### გერმანია

**ბუნდესლიგა**

**გადადებული მატჩი**

ჰანოვერი 0:1 არმინია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

**გადადებული მატჩი**

ბრაუნშვაიგი 1:0 ჰერტა (მ)

### შვედეთი

**სუპერლიგა. XXVI ტური**

ფრიოლუნდა 1:2 გაის

### ავსტრია

**მემფისის თასის II ეტაპი**

პაშინგი (მ) 1:4 *აუსტრია (ლ)*

რაპიდი (მ) — *მატერსბურგი ჩიშალა*

*ლინცი* 2:1 ალტახი

*ჰოლი* 1:0 ჰარტბერგი

კოფლახი 2:3დ.დ.(2:2) *კერნტენი*

*კრესტა* 3:6 *კაპფენბერგი*

*ზალცბურგი (მ)* 2:0 *უნტერზიბენბრუნი*

*რორბახი* 1:5 *ლინცერი*

### იტალია

**თასის II ეტაპი**

**საპასუხო მატჩი**

*პალერმო* 2:0 სალერნიტანა (1:2)

### შოტლანდია

**ლიგის თასის II ეტაპი**

**გადათამაშება**

სენტ ჯონსტონი 1:2 *ფოლკირკი*

*როსი* 5:2 ფორფარი

### დანია

**თასის II ეტაპი**

ნისბი 0:1 *ჰერფიოლგე*

# გადათამაშების იმედი

## უდინეზე სამართალს ეძებს

მორგან დე სანქტისი მსაჯ დატილოს ამაოდ ეჯა

„უდინეზეს“ თავკაცებმა განაცხადეს, რომ „ბრეშასთან“ 1:2 მარცხს გააპროტესტებენ. ლაპარაკია სერია A-ს მეოთხე ტურში, უდინეში გამართულ შეხვედრაზე, რომლის გადამწყვეტი გოლის შესახებ გუშინაც ვწერდით და აქაც გავიმეორებთ: როდესაც ბრეშელი დანიელი მანინი კარში ბურთს აგდებდა, მასპინძელთა მეკარე მორგან დე სანქტისი ტრავმირებული იწვა მოედანზე და წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ ჰქონდა — იგი ჯუზეპე სკულიმ დააშავა, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ შეხვედრის მსაჯს წესის ეს დარღვევა გამოეპარა. ერთი სიტყვით, გოლი ჩაითვალა და ატყდა გაწევ-გამოწევა, რასაც გაძევებებიც მოჰყვა.

„ორმოცი წელიწადია ფეხბურთში ვტრიალებ და ამგვარი არაფერი მინახავს — აღშფოთებას ვერ მალავდა „უდინეზეს“ პატრონი ჯამპაოლო პოცო ერთ-ერთ ტელეშოუში — ჩვენ აუცილებლად ვიჩივლებთ და ვფიქრობთ, დადგა დრო, ფედერაციამ ახლანდელ წესებს გადახედოს. იმედი გვაქვს, რომ მსაჯი თავის შეცდომას აღიარებს, რის შედეგადაც მატჩი გათამაშდება“.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში თამაშებზე მსაჯთა გამნაწილებლები, პაოლო ბერგამო და პიერლუიჯი პაირეტო ამბობენ, რომ შეხვედრის არბიტრს თამაში უნდა შეეჩერებინა მეკარის ტრავმის მოტივით. ეს წყვილი ფეხბურთელებსაც მოუწოდებს პატიოსანი თამაშის პრინციპების დაცვას.

**პაპუნა კედია**

# ოსინი ჩამოვლენ მეტოქედან

## სოლარის არც პეკერმანი სწყალობს

*ნელ-ნელა ახლოვდება სანაკრებო თამაშები. არგენტინის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ურუგვაისა და ჩილეს გუნდებთან აქვს საბრძოლველი, რისთვისაც მისი ახალი და ენთუზიაზმით აღსავსე მწვრთნელი, ხოსე პეკერმანი განსაკუთრებით ემზადება და ამთავითვე აცხადებს უცხოეთში მოთამაშე იმ არგენტინელების გვარებს, რომელთაც გამოიძახებს*

**კაცმა** რომ თქვას, თითქმის ყველა, ვინც პეკერმანმა დაასახელა, ადვილი ამოსაცნობი გახლდათ, თუმცა ამ სიაში ზოგი გვარის გამოჩენას მაინც არ ელოდნენ. უპირველეს ყოვლისა, აქ „ესპანიოლის“ მოთამაშე მაქს როდრიგესი და მადრიდის „ატლეტიკოს“ მეკარე ლეო ფრანკო იგულისხმებიან. შეგახსენებთ, რომ არგენტის ნაკრები სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში მეორეა, რვა თამაშიდან თხუთმეტი ქულა აქვს.

და აღსანიშნავია, რომ პეკერმანის ჩამოწერილ ფეხბურთელებს შორის არ არის მადრიდის „რეალის“ მარცხენა ნახევარმცველი სანტიაგო სოლარი, რომელსაც ძალიან დიდი იმედი ჰქონდა, რომ ნაკრებიდან მარსელო ბიელსას წასვლა მის სანაკრებო ბედს შეცვლიდა.

„ნაკრებში თამაში ყოველთვის ძალიან მინდოდა, მაგრამ ამის საშუალებას არ მაძლევდნენ. დღეს ვინღა დამიბრუნებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის შანსს? არადა იმ წელიწადს დიდებულ ფორმაში ვიყავი. სამწუხაროდ, ვინ ათამაშონ და ვინ არა, ამას მწვრთნელები წყვეტენ და მეც იძულებული ვარ, ბედს შევეგუონ. ნებისმიერ მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. ხომ ხედავთ, თვით მადრიდის „რეალში“ თამაშიც კი არ არის ნაკრებში მოხვედრის გარანტია“.

ხოსე პეკერმანის ჩამოწერილი სია კი ასეთი გახლავთ: ხავიერ ძანეტი, ესტებან კამბიასო, ფაბრისიო კოლოჩინი, ერნან კრესპო, ხუან რომან რიკელმე, გონსალო როდრიგესი, გაბრიელ მილატო, ვალტერ სამუელი, ლეო ფრანკო, ლიონელ სკალონი, მაქს როდრიგესი, ანდრეს დალესანდრო, ფაკუნდო კიროგა, დიეგო პლასენტე, ხავიერ სავიოლა, გაბრიელ ჰაინცე, მაურო როსალესი, ლუჩიანო ფიგერა და ხუან პაბლო სორინი.

**პაპუნა კედია**

# პატრონის შენიშვნები

*„ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატი უკვე იმ ჭკუაზეა, რომ აცხადებს, დროა კრისტიან ვიერი ძირითად შემადგენლობაში აღარ იყოსო. მოგეხსენებათ, კვირას „პარმასთან“ შეხვედრაში რობერტო მანჩინიმ ადრიანოს კვლავ ვიერი შეუწყვილა და კვლავ ვერ მოიგო. „ინტერმა“ პარმელების კარში ორი გოლი მხოლოდ ვიერის მოედნიდან გასვლის შემდეგ გაიტანა და ორივე მისმა შემცვლელმა, ობაფემი მარტინსმა შეაგდო*



მარტინსი დაფრინავს, ვიერი კი ვეღარც დადის

„ამწუთას ვიერისა და ადრიანოს წყვილი კარგად ვერ მოქმედებს და ამ ფაქტის აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია. ვთქვათ პირდაპირ, ვიერი ცუდ ფორმაშია“ — უთხრა მორატიმ „ანტენა 3-ს“ და დასძინა:

„ამიტომაც უნდა დავეყრდნოთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც კარგად თამაშობენ და გოლები გააქვთ. მით უფრო, ხალხი საძებნელი არ არის, „ინტერს“ თავდასხმაში ასარჩევად აქვს საქმე“.

შეგახსენებთ, რომ ვიერისა და ადრიანოს წყვილს იტალიაში მრავალი ადამიანი იმთავითვე დიდი ეჭვით უცქერდა, რადგან მათი აზრით, ეს ორი ფეხბურთელი მეტისმეტად მსგავსი სტილის ფეხბურთს თამაშობს, თუმცა „შავლურჯების“ მწვრთნელი, რობერტო მანჩინი ყველას ჯიბრზე საწინააღმდეგოს დამტკიცებას შეუდგა და ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, თვით მასიმო მორატის აუვსო მოთმინების ფიალა. და მაინც, მეპატრონე და ყოფილი პრეზიდენტი ვიერის მიმართ კეთილგანწყობას არ ჰკარგავს:

„მას უბრალოდ დრო სჭირდება, თუმც მე არ ვიცი რამდენია ეს დრო. იმედი ვიქონიოთ, რომ კრიზისული პერიოდი მალე გაუვა“.

მორატის ასეთი საჯარო განცხადებების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა როგორ მიიღებს მათ მანჩინი. პატრონის შენიშვნა მართალია, მხოლოდ და მხოლოდ შენიშვნაა, მაგრამ პატრონისაა და ამით განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოს შენიშვნისგან.

რაც შეეხება ასარჩევად მყოფ ინტერელ თავდამსხმელებს, მათ შორის ბოლო შეხვედრაში გამოირჩევიან ობაფემი მარტინსი, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ და ურუგვაელი ალვარო რეკობა.

შეგახსენებთ, „ინტერი“ დღეს თამაშობს. ჩემპიონთა ლიგაში მისი მეტოქე გახლავთ ბელგიური „ანდერლეხტი“.

**პაპუნა კედია**

# მორატიმ ვიერის ფორმა დაუწუნა

# ამიერიდან რანგნიკი იხუმრებს

## ყობიაშვილს თავი დაუნიშნეს

**გელზენკირხენის** „შალკეს“ უმწვრთნელობა დასრულდა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა რუდი ასაუერმა გუშინ განაცხადა, რომ „ხუმარებს“ ამიერიდან რალფ რანგნიკი უთავკაცებს. „შალკე“ „ჰანოვერსა“ და „შტუტგარტის“ ყოფილმა მწვრთნელმა ჩაიბარა და, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ამ კლუბში დარჩება. რალფ რანგნიკი გუნდს ლატვიაში გაჰყვება და ლიეპაიას „მეტალურგსთან“ შეხვედრაში უხელმძღვანელებს. აქვე გავიხსენოთ, რომ „შალკემ“ „მეტალურგს“ პირველ მატჩში 5:1 მოუგო და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ადგილი, ფაქტობრივად, დაიბევა. რაც შეეხება „ხუმარათა“ ყოფილ თავკაც იუპ ჰაინკესს, იგი ორი კვირის წინ ასაუერმა გაათავისუფლა, რადგან მის ხელქვეით გუნდი ბუნდესლიგის ქვესკნელისკენ ეშვებოდა. ჰაინკესი ორმა მისმა თანაშემწემ დროებით შეცვალა და მათაც გასულ უქმეებზე „ჰანოვერთან“ სტუმრად შეხვედრაში წაგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

## E ჯგუფი

### რუსენბორგი — არსენალი

სავარაუდო შემადგენლობები

ე. იონსენი, რუსელი, რისეტი, ჰოფტუნი, დორსინი, სტრანდი, ვინსნესი, სოლი, ფ. იონსენი, ბრაატენი, სტორფლორი

ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ფაბრეგასი, ედუ, ანრი, რეიესი

მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

### პსვ — პანათინაიკოსი

სავარაუდო შემადგენლობები

გომესი, ლუსიუსი (ან ლამეი), ალექსი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, კოკუ, ბესლი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ჯ. დე იონგი

ხალკიასი, მორისი, გუმასი, კირიაკოსი, მიუნხი, ბასინასი, მიტუ, ანდრიჩი, სკაჩელი, ე. გონსალესი, პაპადოპულოსი

მსაჯი: ჯონრად პლაუცი (ავსტრია)



ანდრე ოიერი პსვ-საც დაკლდა და ჰოლანდიის ნაკრებსაც



ჟილბერტო სილვა „არსენალს“ ვერ დაეხმარება

# არსენალის რუსენბორგი სტრიო

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი || ტურ. ბოლო

## G ჯგუფი

### ანდერლეხტი — ინტერი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| პეერსმანი, ვანდენ ბორე, კომპანი, ლ. ტრაორე (ან დე ბუკი), დეშახტი, მპენზა, ჰასი, ზეტერბერგი, ვილჰელმსონი, დინდანე, იესტროვიჩი | ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ფავალი, ზე მარია, ვერონი, ემრე, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი |

მსაჯი: ჯიროს ვასარასი (საბერძნეთი)

### ვერდერი — ვალენსია

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| რაინკე, სტალტერი, ფარენჰორსტი, შულცი, მანინი, ლაგერბლომი, ერნსტი, ბოროვსკი, მიკუ, კლასნიჩი, ნ. ვალდესი | კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, ანგულო, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, კორადი, დი ვაიო |

მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)

„ინტერი“ ადრიანოს გოლების იმედზეა

# ბოდი, ჭიანურთ ჯოჯანი

## ვერდერს გოლებს ვერ უთვლიან

**კრისტიან ვიერი** დაიმტვრაო, გამოვიდა ხმა „ინტერის“ საწვრთნელი ბაზიდან, სადაც ბრიუსელში გამგზავრებამდე მილანური კლუბი მზადებას გადიოდა. ვიერის მუხლი უტკენია და ბელგიაში წამსვლელ 21-ფეხბურთელიან სიაში ვეღარ მოხვდა. მეორე მხრივ, ვიერის დაკარგვა ეგებ არც იყოს განსაკუთრებული დანაკლისი „ინტერისთვის“, რაკი ფორვარდი ბოლო ხანს ძველებურად ვეღარ ჩაუქობს და აკი დაიმსახურა კიდეც მასიმო მორატის წყრომა. „შავ-ლურჯთა“ ბოსმა ორშაბათს თქვა, ვიერი ისე ცუდად თამაშობს, სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დაკარგვა ემუქრებაო. დღეს „ინტერს“ ახალი ფავორიტები ჰყავს — ადრიანო და ყმაწვილი ნიგერიელი ობაფემი მარტინსი, ვინაც სერია A-ს წინა ტურში „პარმას“ გაუტანა და წესით, „ანდერლეხტთან“ სასტარტო შემადგენლობაში უნდა ითამაშოს.

ამ მატჩის წინ ერთი უცნაური რამ ხდება: იტალიელებს ძალიანაც გაუხარდებათ, თუ „ანდერლეხტის“ 18 წლის ცენტრალური მცველი ვინსენ კომპანი კარგად ითამაშებს. რატომ? უბრალო მიზეზის გამო — ეს ფეხბურთელი „ინტერის“ თვალახედვის არეში მოხვედრილა და როგორც ამბობენ, ძალიან მალე შავ-ლურჯი მაისურითაც შემოსავენ.

საამმატჩო სხვა ამბები კი ის არის, რომ „ინტერს“ დისკვალიფიცირებული ჰყავს სინიშა მიხაილოვიჩი, ვისთვისაც ვინ დათვლის, ეს მერამდენე დისკვალიფიკაციაა კარიერაში. ხოლო ვიერის გარდა კრისტიან ძანეტი არის დაშავებული.

„ანდერლეხტს“ ნაკლები პრობლემები აქვს — მიხალ ჟევლაკოვი ტრავმირებულია, სხვები კი ჯანზე არიან და მეტოქეს ელიან — ვერ მოიგებენ და, ჯგუფიდან გასვლის შანსს მეტისმეტად გაირთულებენ.

ჯგუფის თანალიდერი „ვალენსია“ ბრემენში თამაშობს. მშობლიურ ქალაქში „ვერდერს“ იმდენი გოლი გააქვს, რომ... მარტივი არითმეტიკაა: ბოლო რვა საევროპო შეხვედრაში „ვერდერმა“ 30 გოლი გაიტანა ანუ თითო მატჩში საშუალოდ 3,5 გოლი გაჰქონდა.

მეორე მხრივ, არც „ვალენსიაა“ ხელწამოსაკრავი მეტოქე, რაკი ბოლო ექვსი გასვიდან ოთხჯერ შინ გამარჯვებული დაბრუნდა.

ბრემენელთაგან დისკვალიფიცირებულია ვალერიან ისმაელი. პეტრი პასანენს ფეხბურთელისთვის ცოტა არ იყოს უცნაური და იშვიათი ტრავმა აქვს — თვალი სტკივა. საეჭვოა კოჭმტკივანი ფრანკ ბაუმანის თამაშიც.

„ვალენსიას“ დაშავებულთა სია უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება. რობერტო ფაბიან აიალას და მიგელ მისტას კოჭი აწუხებთ, პაბლო აიმარი კუნთს შეუწუხებია, ფრანსისკო რუფეტე და გონსალო დე ლოს სანტოსი კი მყესის ტრავმებს.

| | | | | | კოტე | კეკელია |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ანდერლეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## H ჯგუფი

### ცსკა — პსჟ

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, შერშუნი, რ. გუსევი, ჟირკოვი, იაროშიკი, რახიმიჩი, ოლიჩი, ვაგნერი | ლეტიზი, მენდი, პიერ-ფანფანი, ელდერი, არმანი, ე. სისე, ჩანა, მბამი, კორიდონი, პაულეტა, ლიუბოია |

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

### ჩელსი — პორტუ

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, ტიაგუ, ლამპარდი, მაკელელე, დაფი (ან ჯ. კოული), დროგბა, გუდიონსენი | ვიტორ ბაია, ბოსინგვა, ჟორჟე კოშტა, პეპე, რიკარდუ კოშტა, კოშტინია, მანიშე, კვარესმა, დიეგო, კარლოს ალბერტო, ლუის ფაბიანო |

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

# მაურინიუმ აურია

## რუსთა ჯარის მწარე ფრანგული მოგონება

**„ჩელსის“** მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ამბობს, რომ „პორტუში“ მის შემცვლელს, ვიქტორ ფერნანდესს უკეთესი გუნდი ეყოლება, ვიდრე მას ჰყავდა, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა — შეგახსენებთ, რომ მაისში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს „პორტუ“ და „მონაკო“ შეხვდნენ. „პორტუმ“ გაიმარჯვა.

ამის შემდეგ პორტუგალიელი მწვრთნელი ლონდონს გაეშურა და თან წაიყვანა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან პაულუ ფერეირა და რიკარდუ კარვალიუ, (ამას დეკუს „ბარსელონაში“ გადასვლაც დაემატა). მაგრამ მაურინიუ აცხადებს, რომ ახლანდელი გუნდი მაინც მის დროინდელზე ძლიერია.

„დღევანდელი „პორტუ“, მე რომ მყავდა, იმაზე ძლიერია და ამიტომ ჩვენს ჯგუფში ფავორიტად მიმაჩნია — განაცხადა მაურინიუმ, რომელიც ბედმა ჩემპიონთა ლიგის H ჯგუფში ყოფილ გუნდთან, „პორტუსთან“ დააკავშირა — ისიც კარგად მესმის, რატომ და რითი არის „პორტუს“ ახალი მწვრთნელი უკმაყოფილო. ბუნებრივია, მას ის პასუხისმგებლობა, ფავორიტებს რომ ეკისრებათ, არ სიამოვნებს, თუმცა ფაქტია, რომ დღევანდელ გუნდს ჩემს დროინდელთან შედარებით მოედანზე მეტი მანევრირების საშუალება აქვს“.



ჟოზე მაურინიუ

ბუნებრივია, ასეთმა თამამმა გამონათქვამებმა „პორტუს“ დღევანდელი მწვრთნელი, ზემოხსენებული ესპანელი სპეციალისტი ვიქტორ ფერნანდესი ძალიან გააღიზიანა და მან თავი მოვალედ ჩათვალა საპასუხო კომენტარები გამოეთქვა:

„მეტოქის შესაძლებლობებზე ასე თამამად მსჯელობას ვერასდროს გავბედავდი და არც ასეთ რანგში ავიყვანდი ოდესმე „ჩელსიმ“ „პორტუსგან“ საუკეთესო ფეხბურთელები შეიძინა, აბა, წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ იყიდდა ამ გუნდიდან ვინმეს? იყიდა და ფულიც გვარიანად გადაიხადა, რაც ისევ იმ მოთამაშეების ძალაზე მეტყველებს. „ჩელსიმ“ ევროპაში ყველაზე მეტი ფული დახარჯა და ყოველივე ამის გასამართლებლად დიდი გამარჯვებები სჭირდება“ — ბრძანა ფერნანდესმა.

ასე და ამგვარად, ცალკე „ჩელსი“ ცდილობს დღევანდელი მეტოქე ფავორიტად გამოაცხადოს და თავი მეორე ნომრად წარმოაჩინოს და ცალკე იმავეს ლამობს „პორტუ“. სინამდვილეში რომელია მეორე ნომერი, რუსი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის მრავალმილიონიანი გუნდი თუ იერით უფრო პროვინციული, მაგრამ ჩემპიონთა თასის ბოლო მფლობელი „პორტუ“, თავად განსაჯეთ. ჩვენ დავძინოთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს არასდროს შეხვდრიან. მეტიც, „ჩელსი“ პორტუგალიურ კლუბებს არ შეხვედრია არასოდეს, ხოლო „პორტუ“ ინგლისურ კლუბებს ცხადია, იცნობს და მათთან 14 თამაშიდან სამი მოუგია (სამივე შინ, პორტუში), ხუთი ფრედ უთამაშია და ექვსჯერ მარცხი უწვნევია.

მოსკოვის ცსკა კი „პარი სენ ჟერმენს“ მასპინძლობს. არც ეს გუნდები შეხვედრიან ოდესმე ერთმანეთს, თუმცა ზოგადად ფრანგულ კლუბებთან რუსული არმიის ფეხბურთის გუნდს ერთი ფრე აქვს ნათამაშევი და ერთხელ დამარცხებულა, ისიც მტრისას ისე: ეს 1992 წელს „მარსელთან“ „ველოდრომზე“ მოხდა, როდესაც ფრანგებმა რუსი სამხედროები 6:1 დაჯაბნეს.

დღეს მოსკოველებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული ჩიდი ოდია, ხოლო პარიზელთაგან დისკვალიფიცირებული გახლავთ მარიო იეპესი, ხოლო დაშავებული ჟერომ როტენი.

| | | | | | პაპუნა | კედია |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პორტუ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პსჟ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# ჩემი ძმა, ჩემი კაკა!

**ვინ შეარქვა კაკას კაკა? ვინ და მისმა პატარა ძმამ, რომელიც უფროსი ძმის სახელს რიკარდუს, კარგად ვერ გამოთქვამდა და კაკა-კაკას ბუტბუტებდა. 22 წლის ბრაზილიელმა რიკარდუ იზეკსონ სანტუშ ლეიტემ შარშანდელ „მილანში“ გაიბრწყინა, ათზე მეტი გოლი გაიტანა და „შავ-წითელთა“ ქომაგების ჯილაც გახდა. კაკა არ მიეკუთვნება იმ ბრაზილიელებს, რომლებიც ფეხშიშველები დაადგორებდნენ ბურთს რიო დე ჟანეიროს მტვრიან ქუჩებში. ვინ არის და საიდან მოვიდა რიკარდუ იზეკსონი? ამაზე ქვემოთ გიამბობთ**

რიკარდუს უმცროსი ძამიკო ოთახებში დაღოღავდა და „კაკა-კაკას“ ჩიფჩიფებდა, ეს სახელი რიკარდუს სამუდამოდ მიეკერა. საკმაოდ მდიდარი ოჯახის შვილს მამა ინჟინერი ჰყავს, დედა კი მათემატიკის მასწავლებელი. ოჯახი ქვეყნის დედაქალაქში, ბრაზილიაში ცხოვრობს. მშობლებმა კაკას განათლებაზე იზრუნეს, რადგან თვლიდნენ, რომ მომავალი ფეხბურთელისთვის ეს აუცილებელია. სხვათა შორის, „მილანის“ ფეხბურთელმაც თავისი პირველი ჰონორარი პატარა ძმის ლიცეუმში მოსაწყობად დახარჯა და არა ფერადფერადი ავტომობილების შესაძენად.

ახალგაზრდა კანდანგუ (ასე ეძახიან დედაქალაქელებს ბრაზილიაში), ისევე როგორც ბრაზილიელ ბიჭთა უმეტესობა, ფეხბურთით დაავადდა. კაკას გზა პროფესიული ფეხბურთისკენ ასეთი იყო: მშობლებმა იგი „სან პაულუს“ სკოლაში მიაბარეს და მანაც ყველა ასაკის გუნდი გაიარა, სანამ ძირითად შემადგენლობაში მოხვდებოდა. კაკას „ვარსკვლავობა“ ელოდებოდა, რაკი 131 მატჩში 48 გოლი შეაგდო. 2001-ში რიოს შტატის ჩემპიონი „სან პაულუ“ გახდა და ამ წარმატებაში კაკას უდიდესი წვლილი მიუძღვის, თუმცა ჩემპიონობამდე ერთი წლით ადრე ფეხბურთელი კინაღამ დაინვალიდდა. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ბებია-ბაბუასთან სტუმრობისას აუზში ბანაობა გადაწყვიტა და წყალში ჩასვლისას ფეხი დაუსხლტა. შედეგად ხერხემლის ერთი მალა დაუზიანდა და ფეხბურთელობის პერსპექტივაც აღარ ელოდა. „ექიმებმა მითხრეს, რომ ფეხბურთის თამაშს კი არა, სიარულსაც კი ვეღარ შეძლებდი. ჩემს ოჯახს მხოლოდ ღმერთისა და სასწაულის იმედი ჰქონდა“ — იხსენებს რიკარდუ. სასწაული მოხდა და მას შემდეგ კაკა ყოველ გოლისას ღმერთს ემადლიერება.

ბრაზილიის ნაკრებში კაკას დებიუტი 20 წლის ასაკში შედგა და მოგვიანებით ერთ-ერთ შეხვედრაში მან გოლიც გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს ნიჭიერი მობურთალი პირველად კარლოს ალბერტო პარეირამ შენიშნა და სწორედ მან ურჩია ლუიშ ფელიპე სკოლარის ნაკრებში კაკას აყვანა. დაახლოებით ამავე დროს რიკარდუ ყოფილ მილანელს, ლეონარდოს დაუახლოვდა და ამ კაცთან ნაცნობობამ მის მომავალზე პირდაპირ იმოქმედა. „მილანის“ ვიცეპრეზიდენტ ადრიანო გალიანის სწორედ ლეონარდომ ჩასჩურჩულა კაკას თაობაზე, ეგ ბიჭი უნდა შეიძინოო. იმ მომენტში ბრაზილიელ ყმაწვილზე „ჩელსი“ და „რეალიც“ ნადირობდნენ, მაგრამ ლეონარდომ გალიანის კაკას თამაშის ვიდეოფირი აჩვენა და ვიცე-პრეზიდენტიც დაჰ ყაბულდა. „მილანმა“ რიკარდუსთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მის სანაცვლოდ რვა მილიონი ევრო გადაიხადა. ბრაზილიელს „შავ-წითლები“ წელიწადში სამ მილიონ ევროს უხდიან.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ კაკა ევროპულ, ამ შემთხვევაში იტალიურ ფეხბურთს უმალ შეეწყო, არადა, ბევრ ცნობილ ფეხბურთელს გაუჭირდა „კალჩოში“. სერია A-ს პირველ რამდენიმე ტურში კაკა შეცვლაზე თამაშობდა, მაგრამ მერე ძირითად შემადგენლობაში ადგილი რუი კოშტას წაართვა, ხოლო რივალდო საერთოდ წავიდა „მილანიდან“.

რით გამოირჩევა კაკა? როგორც ყველა ბრაზილიელს, ტექნიკა და ბურთის ფლობა არ დაეწუნება, თუმც კარლო ანჩელოტის განსაკუთრებით მისი უნივერსალურობა ხიბლავს. რიკარდუს მოედნის შუაში მარჯვნივ და მარცხნივაც შეუძლია თამაში და შეტევებშიც ჭკვიანურად ერთვება. ამას დავუმატოთ კეთილი კაცის ღიმილი, მოკრძალება, უპრეტენზიობა და უკვე გასაგებია, თუ რატომ გახდა იგი „მილანის“ გულშემატკივართა კერპი. „მე არ მახსოვს არც ერთი ფეხბურთელი, რომ მის ასაკში ასე შთამბეჭდავად ეთამაშოს“ — თქვა „შავ-წითელთა“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ. ვის აღარ ადარებენ კაკას — ვან ბასტენს, პლატინის, ზიკოს და რივერას, თუმც, პრეზიდენტის აზრით, ბრაზილიელი უკვე ჩაეწერა „მილანის“ ისტორიაში.

„ყველაზე ხშირად პლატინის მადარებენ — თქვა თავად ფეხბურთელმა — ეს, რა თქმა უნდა, ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ ალბათ გადაჭარბებულია, რადგან მე მხოლოდ ახლა ვიწყებ თამაშს. პლატინიმ კი ისტორია შექმნა“.

იონ დალ ტომასონის განმარტება ასეთია: „კაკას ფენომენი იოლი ასახსნელია. ის თამაშობს ისე, თითქოს ათი წელი გაეტარებინოს სერია A-ში“.

„ასაკის კვალობაზე მეტად მოწიფული ფეხბურთელია — განაცხადა კარლო ანჩელოტიმ — მისგან რაღაც უცნაური შინაგანი ძალა გამოდის. დარწმუნებული ვარ, „ვარსკვლავობის ავადმყოფობა“ არ შეეყრება, რადგან უკვე ზრდასრული ფეხბურთელივით იქცევა“.

შექებაზე კაკა ასე პასუხობს: „განა შეიძლება „მილანის“ დონის გუნდში ცუდად თამაში? ჩვენ ხომ დიდებული ფეხბურთელები და მწვრთნელი გვყავს. ლეონარდო, რომელიც მეუბნებოდა, „მილანი“ უდიდესი კლუბიაო, არ შემცდარა. ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ „მილანი“ დავაინტერესე, ახლა კი ბედნიერი ვარ“.

რიკარდუს ძალიან სურს ჩემპიონთა ლიგის მოგება „მილანთან“ ერთად: „ლიგაში გამარჯვება ჩემი ოცნებაა. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშსა და მის მოგებას სხვა გემო აქვს, მაგრამ იმავდროულად ოლიმპიური ჩემპიონობაც მინდა და ვიმედოვნებ, ამასაც მოვასწრებ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ უფროსობას თუ ვენდობით, სეზონის ბოლომდე კლუბში არანაირი ცვლილება არ მოხდება. „წითელი ეშმაკების“ აღმასრულებელ დირექტორ დევიდ გილის თქმით, უეინ რუნის ყიდვის შემდეგ „მანჩესტერი“ უფულოდ დარჩა და თუ გუნდი, რომელიმე ფეხბურთელს არ გაყიდის, ახალ ტრანსფერზე ფიქრიც არ ღირს. გარდა ამისა, გილმა ალექს ფერგიუსონზეც გააკეთა კომენტარი: „მის გათავისუფლებაზე საუბარი უბრალოდ სასაცილოა. იგი კლუბში რჩება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. სერ ალექსის გამოცდილება, ძალა და სურვილი კიდევ რამდენიმე ბრწყინვალე წელს გაგვატარებინებს ერთად“.

**ესპანური** „რეალს“ შესაძლოა, ვისენტე დელ ბოსკე დაუბრუნდეს, ოღონდ კლუბის ერთ-ერთ თანამშრომლად და არა მწვრთნელად. უკვე რამდენიმე დღეა ეს ინფორმაცია პრესაში ვრცელდება. როგორც ამბობენ, დელ ბოსკეს მადრიდიდან დაუკავშირდნენ და მოლაპარაკებებიც უკვე დაწყებულია. არ არის გამორიცხული, „ულვაშა“ შეთავაზებით დაინტერესდეს, მით უმეტეს, რომ თურქულ „ბეშიქთაშში“ მისი საქმეები საკმაოდ ცუდად აეწყო.

**ბერძნული** პაოკ-მა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ანგელოს ანასტასიადისი დაითხოვა. მიზეზად უეფას თასზე და საბერძნეთის ჩემპიონატში სალონიკელთა ცუდი თამაში დასახელდა. გუშინ პაოკ-ის ახალ მწვრთნელად ავსტრიელი როლფ ფრინგერი დანიშნეს. 51 წლის ანასტასიადისი კლუბს 2002 წლიდან წვრთნიდა და 2003 წელს ქვეყნის თასიც მოაგებინა.

**ინგლისური** „მანჩესტერის“ შემოსავლები დევიდ ბექემის „რეალში“ გადასვლის შემდეგ 30 პროცენტით დაეცა. „წითელი ეშმაკების“ წლევანდელი შემოსავალი 27,9 მილიონი გირვანქაა, როდესაც შარშან ეს თანხა 39,3 მილიონს შეადგენდა. გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე ახალმა შენაძენებმაც იმოქედეს, განსაკუთრებით კი უეინ რუნის ტრანსფერმა. მიუხედავად ამისა „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობა სიმშვიდეს ინარჩუნებს და ჯერჯერობით უცნობი გზებით შემოსავლების გაზრდას აპირებს.

**რუსული** „ალანიას“ ახალ პრეზიდენტად შეიძლება ალიკ ალბეგოვი მოგვევლინოს, ხოლო ვლადიკავკაზელთა სპონსორობას ერთ-ერთი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ფირმა აპირებს. „მართალია, ჩემი კანდიდატურა მართლაც განიხილება, მაგრამ პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას კიდევ არაერთი პიროვნება აცხადებს. ყველაფერი საბოლოოდ კვირის ბოლოს გაირკვევა“ — თქვა ალბეგოვმა.

**იტალიური** „ინტერის“ მფლობელი მასიმო მორატი „შავლურჯთა“ თავკაც რობერტო მანჩინის სთხოვს, კრისტიან ვიერი დროებით სათადარიგოთა სკამზე დასვას. „ამჟამად, აშკარად ჩანს, რომ თავდასხმაში ადრიანო-ვიერის წყვილი კარგად ვერ მოქმედებს. კრისტიანი შორს არის ჩვეული სათამაშო ფორმისგან და ამის მთავარი მიზეზიც ალბათ ეს გახლავთ. ჩვენს კლუბში კიდევ არაერთი მაღალი დონის ფორვარდია, რომლებიც უკეთ არიან მზად და აჯობებს, დროებით მათ მივცეთ შანსი“ — თქვა მორატიმ.

**ინგლისური** „ევერტონი“ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას 30 მილიონი გირვანქით შეხვდება და სავარაუდოდ, რამდენიმე ფეხბურთელს შეიძენს. ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბის დირექტორთა საბჭო ახალ წევრს, კრისტოფერ სამუელსონს შეიყვანს. ეს უკანასკნელი ინვესტორებს მოიზიდავს და კლუბიც ტრანსფერებისთვის აღნიშნულ თანხას მათგან მიიღებს. „თითქმის გადაწყვეტილია, რომ სამუელსონი დირექტორთა საბჭოს წევრი გახდება, ხოლო ახალი ინვესტორები კლუბის აქციების გარკვეული ნაწილს იყიდიან. ბუნებრივია, მე ჩემს პოსტზე დავრჩები“ — აღნიშნა ლივერპულელთა პრეზიდენტმა ბილ პენრაიტმა.

**იამაიკა,** გრენადა, ჰაიტი, ბაჰამას და კაიმანის კუნძულები ფიფასგან ფეხბურთის განვითარების პროგრამის გასაგრძელებლად და ყველა საჭირო ღონისძიების ჩასატარებლად 1 მილიონ დოლარს მიიღებენ. როგორც იცით, კარიბეთის ქვეყნებს ახლახან არაერთმა ქარიშხალმა გადაუარა და მნიშვნელოვნად დააზარალა. ბუნებრივია, დაზიანდა საფეხბურთო მინდვრები, ბაზები და მთელი ინფრასტრუქტურა. ფიფას მიერ გამოყოფილი გრანტით კი მათი აღდგენა შესაძლებელია.

**იტალიური** „მილანის“ ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ კვირას, „ლაციოსთან“ მატჩისას, ალესანდრო ნესტასა და სიმონე ინძაგის შორის მომხდარ კონფლიქტზე გააკეთა კომენტარი. გატუზომ, რა თქმა უნდა, თანაგუნდელი ნესტა დაიცვა და თქვა, ორივე ძმა ინძაგის მშვენივრად ვიცნობ და უფროსი ფილიპო სიმონეზე მეტად დინჯი და კორექტულია. „სიმონემ ნესტას თითზე უკბინა და სანდრომაც ამიტომ შემოარტყა სახეში ხელი. სიმონეს ეტყობა, ჯერაც ახალგაზრდა და დაუღვინებელი რომაა. ნესტას ნაცვლად მე რომ ვყოფილიფავი, მიუხედავად პიპოს პატივისცემისა, უმცროს ინძაგის კარგი დღე არ დაადგებოდა.“ — დასძინა გატუზომ.

# კარკური იყო, პენალტიც იყო

ელ კარკურის სამჭულიანი თავური

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VII ტური

**ჩარლტონი 1:0 ბლექბერნი**

1:0 ელ კარკური (49)

**ჩარლტონი:** კილი, ინგი, ბერი, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, გ. სტიუარტი, მერფი, ელ კარკური, ბ. ჰიუზი (ოუენი 76), ლიბი, ჯუ ფერსი (ჯ. ოჰანსონი 12, კიშ�ეი 76)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნაილი, ლ. ამორუზო, დ. მატეო, გრეი, ემერტონი, ბ. ფერგიუსონი, ფლიტკროფტი (თუგაი 70), იანსენი, დიკოვი, სტიდი (ბოტროიდი 70)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: სტიუარტი, თუგაი

მსაჯი: დანი

26 193 მაყურებელი

**„ჩარლტონმა“** შინ დაამარცხა „ბლექბერნი“ და 7-ე ადგილზე აცოცდა პრემიერლიგაში. თამაშის ერთადერთი გოლი მარკოელმა თალალ ელ კარკურიმ გაიტანა თავით დენი მერფის კუთხურის შემდეგ. ორმხრივ თამაშში „ბლექბერნს“ გათანაბრება შეეძლო: რამდენიმე კარგი ბურთი მეკარე დინ კაილიმ მოიგერია, რაც გაუჭირდა, იმაში დაცვაც დაეხმარა და ძელიც რომელსაც ბურთი გარი ფლიტკროფტმა მოარტყა.

ამას გარდა, „ბლექბერნს“ პენალტიც ეკუთვნოდა, ჰერმან ჰრეიდარსონმა ხელით მოხსნა ბრეტ ემერტონის ჩაწოდებული, თუმცა, მსაჯმა სტივ დანმა არ დანიშნა.

„ბლექბერნის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა დანი კი გააკრიტიკა, მაგრამ ამით ქულა ვეღარ იხსნა. მისი გუნდი ახლა ბოლოდან მეხუთე ადგილზეა, თუმცა, განთქმულ უელსელს ეს არ აშფოთებს: „ჯერ ძალიან ადრეა“— ამბობს ის.

ასე რომ, თამაში ელ კარკურის პირველი პრემიერლიგური გოლის ანაბარა დარჩა.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 7 | 6 | 1 | 0 | 22:7 | 19 |
| ჩელსი | 7 | 5 | 2 | 0 | 7:1 | 17 |
| ევერტონი | 7 | 5 | 1 | 1 | 9:6 | 16 |
| ბოლტონი | 7 | 3 | 3 | 1 | 12:9 | 12 |
| მანჩესტერი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:6 | 12 |
| ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:11 | 11 |
| ჩარლტონი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:10 | 11 |
| ლივერპული | 6 | 3 | 1 | 2 | 10:5 | 10 |
| ასტონ ვილა | 7 | 2 | 4 | 1 | 8:7 | 10 |
| ტოტენჰემი | 7 | 2 | 4 | 1 | 4:3 | 10 |
| მიდლსბრო | 7 | 3 | 1 | 3 | 11:11 | 10 |
| ფულემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 8 |
| სიტი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:7 | 7 |
| პორტსმუთი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| ბირმინგემი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:7 | 6 |
| ბლექბერნი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | 5 |
| საუთჰემპტონი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | 4 |
| ნორვიჩი | 7 | 0 | 4 | 3 | 5:12 | 4 |
| კრ. პალასი | 7 | 0 | 2 | 5 | 6:14 | 2 |

## იტალია

### სერია B
### IV ტური

**ვერონა 5:3 არეცო**

1:0 ბიაზი (3), 1:1 სპინეზი (5), 2:1 კოსუ (12), 2:2 დე ძერბი (30), 2:3 სპინეზი (45), 3:3, 4:3 ადაილტონი (57, 90), 5:3 ბოგდანი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბინოლეფე | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| ტორინო | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| ემპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:5 | 10 |
| პიაჩენცა | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| პერუჯა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ჯენოა | 4 | 2 | 1 | 1 | 9:3 | 7 |
| არეცო | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| ჩეზენა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ვიჩენცა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტერნანა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ტრიესტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ასკოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ვერონა | 4 | 1 | 0 | 3 | 8:10 | 3 |
| კატანძარო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| ვენეცია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| სალერნიტანა | 4 | 0 | 3 | 1 | 4:9 | 3 |
| ტრევიზო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| ბარი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 1 |
| პესკარა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| მოდენა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 0 |
| კროტონე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 |

*„ბარის“ დაკლებული აქვს 1 ქულა, „მოდენას“ 4 ქულა, „კატანძაროს“ 5*

## საფრანგეთი

### II დივიზიონი
### X ტური

**გენიონი 0:0 სედანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრესტი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | 18 |
| გრენობლი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:15 | 18 |
| გენიონი | 10 | 4 | 5 | 1 | 8:4 | 17 |
| ნანსი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 17 |
| სედანი | 10 | 5 | 2 | 3 | 11:9 | 17 |
| ამიენი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:9 | 16 |
| დიჟონი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| ლე მანი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:9 | 13 |
| რეიმსი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:13 | 13 |
| ნიორი | 10 | 4 | 0 | 6 | 13:12 | 12 |
| ლე ავრი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:9 | 12 |
| ტრუა | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 12 |
| ანჟე | 10 | 3 | 3 | 4 | 10:10 | 12 |
| მონპელიე | 10 | 3 | 3 | 4 | 8:9 | 12 |
| გენგამი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| კლერმონი | 10 | 2 | 5 | 3 | 13:12 | 11 |
| შატორუ | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | 11 |
| ლორიანი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:15 | 11 |
| ლავალი | 10 | 2 | 4 | 4 | 9:14 | 10 |
| კრეტეი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:12 | 9 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა
### IV ტური

**ეშტორილი 1:0 ბელენენსეში**

1:0 ნდოი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| მარიტიმუ | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| სეტუბალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ბელენენსეში | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| პორტუ | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| ბრაგა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ბეირა მარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ეშტორილი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ლეირია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| რიუ ავე | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| გიმარაეში | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| მორეირენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| პენაფიელი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:9 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა
### 4 ტური

**კოტბუსი 1:1 მიუნხენი**

0:1 კრისტირასი (31), 1:1 ტიერკი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 6 | 4 | 1 | 1 | 6:2 | 13 |
| კიოლნი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:8 | 13 |
| დუისბურგი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| ბურგჰაუზენი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:9 | 11 |
| აინტრახტი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| ალემანია | 6 | 2 | 3 | 1 | 11:6 | 9 |
| მიუნხენი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| კოტბუსი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:6 | 9 |
| აუე | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 8 |
| ზაარბრიუკენი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| ტრიერი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| ერფურტი | 6 | 1 | 4 | 1 | 4:4 | 7 |
| უნტერჰახინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 7 |
| ესენი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | 5 |
| კარლსრუე | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 9:11 | 4 |
| ალენი | 6 | 0 | 4 | 2 | 5:7 | 4 |
| ობერჰაუზენი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:13 | 2 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა
### VII ტური

**ბრნო 1:3 ტეპლიცე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 7 | 6 | 1 | 0 | 19:7 | 19 |
| ტეპლიცე | 7 | 4 | 3 | 0 | 11:6 | 15 |
| სიგმა | 7 | 5 | 0 | 2 | 10:6 | 15 |
| ბანიკი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| ბრნო | 7 | 4 | 1 | 2 | 7:8 | 13 |
| ლიბერეცი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:3 | 12 |
| სლავია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 |
| სინოტი | 7 | 3 | 2 | 2 | 5:4 | 11 |
| ზლინი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:7 | 8 |
| ოპავა | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| დრნოვიცე | 7 | 2 | 0 | 5 | 7:9 | 6 |
| იაბლონეცი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| ბუდეიოვიცე | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| ბოლესლავი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| პრჟიბრამი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | 5 |
| ბლშანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:9 | 4 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXII ტური

**ვოლერენგა 1:1 ტრომსიო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 22 | 12 | 6 | 4 | 46:29 | 42 |
| ვოლერენგა | 22 | 10 | 8 | 4 | 32:20 | 38 |
| ტრომსიო | 22 | 11 | 4 | 7 | 34:26 | 37 |
| ლინი | 22 | 9 | 7 | 6 | 26:24 | 34 |
| ბრანი | 22 | 10 | 3 | 9 | 40:35 | 33 |
| ჰამ კამი | 22 | 9 | 6 | 7 | 30:30 | 33 |
| ლილესტრიომი | 22 | 8 | 7 | 7 | 41:29 | 31 |
| ოდ გრენლანდი | 22 | 8 | 7 | 7 | 38:33 | 31 |
| ვიკინგი | 22 | 6 | 10 | 6 | 24:28 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 22 | 7 | 4 | 11 | 26:35 | 25 |
| ფრედრიკსტადი | 22 | 7 | 4 | 11 | 34:45 | 25 |
| მოლდე | 22 | 5 | 9 | 8 | 27:34 | 24 |
| სტაბეკი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:32 | 23 |
| სოგნდალი | 22 | 3 | 6 | 13 | 32:51 | 15 |

## შვედეთი

### ალსვენსკა
### XXII ტური

**გიოტებორგი 1:0 კალმარი**

**სუნდსვალი 1:1 აიკ**

**ჰელსინგბორგი 0:1 ლანდსკრონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 22 | 13 | 7 | 2 | 41:18 | 46 |
| გიოტებორგი | 22 | 13 | 4 | 5 | 28:15 | 43 |
| ჰალმსტადი | 22 | 12 | 6 | 4 | 48:24 | 42 |
| კალმარი | 22 | 8 | 10 | 4 | 23:16 | 34 |
| იურგორდენი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:27 | 32 |
| ჰამარბი | 22 | 9 | 5 | 8 | 26:24 | 32 |
| ელფსბორგი | 22 | 8 | 7 | 7 | 22:26 | 31 |
| ჰელსინგბორგი | 22 | 6 | 8 | 8 | 37:28 | 26 |
| სუნდსვალი | 22 | 6 | 8 | 8 | 23:26 | 26 |
| ლანდსკრონა | 22 | 5 | 8 | 9 | 22:31 | 23 |
| იორგრიტე | 22 | 5 | 8 | 9 | 19:28 | 23 |
| აიკ | 22 | 4 | 9 | 9 | 18:28 | 21 |
| იორებრო | 22 | 5 | 6 | 11 | 24:44 | 21 |
| ტრელებორგი | 22 | 2 | 6 | 14 | 16:44 | 12 |

# ჰინი დაჯოგჯს

კინის ოჯახიც გადარჩა და ძაღლიც

როი კინის მილიონნახევრიან ეზო-ყურეში გვარიანი ხმა გაისმა. შინ იყვნენ კინის ოთხივე შვილი და ფეხმძიმე ცოლი.

გამოძიებით დადგინდა, რომ ეზოში ისროლეს ფოიერვერკის მეტრანახევრიანი საფეთქებელი. ეს დილის რვა საათზე მოხდა. აფეთქებამ ოჯახობას ვერაფერი დააკლო, თუმცა, შეეძლო კი დაეკლო. ეს იყო საწარმო საფეთქებელი. თავად „მანჩესტერის“ კაპიტანმა თქვა, რომ ეს ფანური ამბავია და ტრიბუნებიდან გაგონილის გაგრძელებაა. „ღმერთმა იცის, რომ ამის გამკეთებელი გიჟია“— თქვა კინმა. აფეთქება „მანჩესტერის“ მიერ „ტოტენჰემის“ დამარცხებას მოჰყვა.

კინის ცოლმა ტერეზამ ნოემბერში უნდა მოილოგინოს და ისიც ცხადია, სულ სხვანაირად შეშინდა. აფეთქებამ მხოლოდ ჭიშკარი დააზიანა. ყველას კი ის ამბავი გაახსენდა, რომ ამას წინათ კინი სასამართლოში მოხვდა 16 წლის ბიჭთან თავისი ძაღლის გამო ჩხუბისთვის. აქვე ვთქვათ, რომ კინის შორიახლოს რუუდ ვან ნისტელროი და ალან სმიტი ცხოვრობენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ანრი საგანგებო არ არის

**საფრანგეთში,** ნაკრების მწვრთნელის რაიმონ დომენეკის ერთ ამასწინანდელ ნათქვამს დიდი აურზაური მოჰყვა. კერძოდ, დაიწერა, თითქოს დომენეკს ეთქვას, „არსენალის“ ფორვარდი, ტიერი ანრი ლურჯი გუნდისთვის საგანგებო მნიშვნელობის ფიგურა არ არისო. ამასთან დაკავშირებით მწვრთნელმა კომენტარი „ეკიპის“ ფურცლებიდან გააკეთა. მან განმარტა, რომ მსგავსი არაფერი უგულისხმია, უბრალოდ იმის თქმა უნდოდა, რომ მის გუნდში ცალკე აღებული რომელიმე ფეხბურთელი გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ არის. დიახ, ანრი მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ იგი გუნდური ეთიკისა და სულისკვეთების ჩამოყალიბებას ცდილობს.

„ჩემი მოსაზრება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ჩვენს გუნდში საგანგებო არავინაა. აი, მხოლოდ ამ აზრის გამოხტვა მსურდა. არ მინდა მაიძულონ და რომელიმე ფეხბურთელზე მათქმევინონ, რომ ის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამიტომაც უარვყავი სიტყვები საგანგებო და გადამწყვეტი. ტიერი ანრი კი ცხადია, დიდებული ფეხბურთელია. მისი შეტევის უნარი საფრანგეთის ნაკრებისთვის მნიშვნელოვანია და მის გარშემო სტრატეგიის აწყობა შეიძლება, მას თამაშის ნებისმიერ მომენტში შეუძლია გოლის გატანა“.

**პაპუნა კედია**

რეკლამა
სარგბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## უეფას თასი 2004-2005
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი
### საპასუხო მატჩი

# დღეს ვილაპარაკოთ, ხვალ ვიოამოთ

**დღეს** თბილისში „დინამოს“ ხვალინდელი მეტოქე, კრაკოვის „ვისლა“ ჩამოვა და სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდება.

პოლონელები უძლიერესი შემადგენლობით და გამარჯვების იმედით მოდიან. „ვისლას“ სამი ტრავმირებული ფეხბურთელი — თავდამსხმელი ფრანკოვსკი და მცველები კლოსი და სტოლარჩიკი გამოუჯანმრთელდა და მწვრთნელ კასპერჩაკს, რა თქმა უნდა, ისინიც მოჰყავს.

კრაკოველები ჩარტერული რეისით ოთხი საათისთვის ჩამოფრინდებიან, ცოტას მოისვენებენ და შვიდ საათზე ეროვნულ სტადიონზე მატჩისწინა ვარჯიშს ჩაატარებენ. ნახევარი საათით ადრე კი იქვე ჰენრიკ კასპერჩაკი პრესკონფერენციას გამართავს.

დღესვე იგეგმება „დინამოს“ თავკაც გია გეგუჩაძის პრესკონფერენციაც. მწვრთნელი ჟურნალისტებს დილმის ბაზაზე ხუთის ნახევარზე უმასპინძლებს.

ხვალინდელ შეხვედრას შოტლანდიელი მსაჯები მოემსახურებიან, არბიტრი კლარკ-კენეტ უილიამსი იქნება, მათ სერბი ზდრავკო იოკიჩი დააკვირდება. სხვათა შორის, იოკიჩი ამას წინათ საქართველო—ალბანეთზეც მსაჯების დამკვირვებელი იყო. უეფას დელეგატად კი ნორვეგიელი მარკ იოჰანსენია დანიშნული.

შეგახსენებთ, ხვალინდელი მატჩი 19 საათზე დაიწყება.

**კოგა ინასარიძე**

თბილისი. 30 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული

## დინამო — ვისლა

პირველი მატჩი 3:4

ეს ისევ იქნება: „ვისლა“ „ეროვნულზე“

ბაბილ ჯალალოვის ფოტო

# ვიცი, რასაც ვაკეთებ, ოღონდ...

**ანდრო აბაშიძე, ფეხბურთის ფედერაციის ან უკვე ყოფილი გენერალური მდივანი ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებას მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე მომავალ კვირაში სასამართლოში გაასაჩივრებს და უფლებამოსილების აღდგენას მოითხოვს.**

**აბაშიძის აზრით, აღმასკომი ყველა ნორმატიული აქტის დარღვევით ჩატარდა და, შესაბამისად, სამსახურიდან მისი დათხოვნაც უკანონოა**



— სასამართლოს მომავალ კვირას მივმართავ, ჯერ აღმასკომის სხდომის ოქმები უნდა მოვიპოვო და სარჩელსაც ამის შემდეგ შევიტან — გვითხრა გუშინ ანდრო აბაშიძემ.

**— კონკრეტულად აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებთ?**

— შესაძლოა, სხვა მოთხოვნებიც მქონდეს.

**— უფრო ზუსტად?**

— ჯერ ვერ გეტყვით. როცა სარჩელს შევიტან, მაშინ ყველაფერს გაიგებთ.

**— ფედერაციამ რომ აღმასკომის ოქმი არ მოგცეთ?**

— მაშინ ოქმს სასამართლო მოითხოვს და ფედერაცია ვალდებული იქნება, მას დაემორჩილოს.

**— და რას ელით სასამართლოსგან?**

— სარჩელის დაკმაყოფილებას. სასამართლო ალბათ დააკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნას და გენერალური მდივნის ფუნქციაც ავტომატურად დამიბრუნდება.

**— თუ ასე არ მოხდა?**

— მაშინ აღმასკომის წევრად მაინც დავრჩები. აღმასკომიდან ჩემი დათხოვნა მხოლოდ ფედერაციის ყრილობას შეუძლია.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ სასამართლოში ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას უეფას მწვავე რეაქცია მოჰყვება?**

— არაფერიც არ უნდა მოჰყვეს. უეფას თანამშრომლებთან მაქვს ურთიერთობა და ვიცი, რასაც ვაკეთებ. თუ მაინცდამაინც და, უეფა დაიმუქრა, ანდრო აბაშიძე ქართული ფეხბურთის მტერი არ არის და მაშინვე უკან დავიხევ. ჯერჯერობით კი სარჩელს ვამზადებ, კანონიერებას ვითხოვ და იმედი მაქვს, მერაბ ჟორდანიაც დაფიქრდება და ფედერაციის მუშაობას სწორად წარმართავს.

**კოგა ინასარიძე**

**ალექსანდრე რეხვიაშვილმა გასულ კვირას კიდევ ერთი ლატვიური ტიტული მიითვალა. მისმა „ვენტსპილსმა“ თასის ფინალში რიგის „სკონტოს“ 2:1 სძლია. ალეკომ სრულად ითამაშა თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ და ახლა პოლონური „ამიკასთვის“ ილესავს კბილებს — საშინაო 1:1-ის შემდეგ „ვენტსპილსს“ არცთუ მცირე შანსი შერჩა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად. 13 ოქტომბერს კი რეხვიაშვილი ალბათ შესარჩევ ჯგუფში გალიდერებულ საქართველოს ნაკრებთან ერთად ლვოვში ჩააკითხავს უკრაინელებს**

# დადექით საქართველოზე!

**— სამატჩო სტატისტიკის მიხედვით „სკონტო“ თითქოს იოლად დაგიმარცხებიათ.**

— ასე ვერ ვიტყვი, კარგა ხანს თანაბარი თამაში იყო, თუმც პირველი ტაიმის ბოლოდან უპირატესობა ჩვენი იყო. 2:0 ვიგებდით და გოლი ბოლო წუთებზე გავუშვით. მოგეხსენებათ, „სკონტო“ ის გუნდი აღარაა, თანაც ლევან კორღალიძე აკლდათ...

**— მენთეშაშვილმა როგორ ითამაშა?**

— ნაღდად საუკეთესო იყო თავისიანებში. როდესაც ის და კორღალიძე ერთად არიან, „სკონტო“ მაშინ ხდება საშიში.

**— პირველ წუთებზე კარგი საგოლე მომენტი გქონია...**

— ასპროცენტიანს ვერ დავარქმევ. მარჯვნიდან მოწოდებული ბურთი მკერდზე მივიღე და 15 მეტრიდან დავარტყი, მაგრამ მეკარემ გამამწარა.

**— ხუთშაბათს პოლონურ „ამიკას“ ხვდებით. შინ თამაშიდან გამომდინარე, შეგიძლიათ მისი გამოგდება?**

— „ამიკა“ კარგი გუნდია, მაგრამ შანსი ნაღდად გვაქვს. ვინ იცის, „ვენტსპილსს“ ჯგუფში მოხვედრის ასეთი შანსი კიდევ როდის მიეცემა...

**— ესე იგი, ფორმაში ხარ და 13 ოქტომბერს უკრაინასთანაც იქნები?**

— გამომიძახონ და თამაში ჩემზე იყოს.

**— ორ თამაშში აღებული 4 ქულა ყველას უხარია, მაგრამ ნაკრების თამაშის ხარისხი ბევრს აფიქრებს...**

— ნატავ სულ ანტიფეხბურთს ვთამაშობდეთ და ვიგებდეთ. არა მგონია, ამისთვის ვინმემ დაგვბრახოს.

**— ლატვიაში არ გაუკვირდათ საქართველოს ნაკრების ჯგუფში გალიდერება?**

— რა თქმა უნდა. ისე, სიმართლე გითხრათ, თურქეთში ნათამაშევი ფრე არ გაუხარდათ — ტოტალიზატორში წააგეს. აი, ალბანეთთან კი ჩვენს მოგებაზე დადეს ფსონი. ახლა უკვე ყველას ვურჩევ, უკრაინის მოგებაზე არ შეიტანონ ფული...

**ილია ნანობაშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქე

### დანია

დანიის ნაკრები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მოახლოებული მატჩებისთვის მზადებას იწყებს. მთავარმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა ალბანეთ-თურქეთთან შესაბამისად 10 და 13 ოქტომბერს გასამართი მატჩებისთვის 21 ფეხბურთელი შეარჩია. დანიელთა მთავარი დანაკლისი დანიელ იენსენია — გერმანული „ვერდერის“ ფეხბურთელი ტრავმირებულია და მის ნაცვლად მწვრთნელმა ბრონდბიუელი მარტინ რეტოვი მიიწვია, თუმც ოლსენს სხვა თავსატეხიც აქვს: მცველი მარტინ ლაურსენი ასევე ტრავმის გამო ვერ შეძლებს ნაკრებში თამაშს.

შეგახსენებთ, რომ დანიელებმა აქამდე მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარეს — უკრაინასთან საშინაო 1:1 და ახლა 6 ქულის აღებას გეგმავენ.

აქვე ოლსენის რჩეულ 21-კაციან სიასაც გთავაზობთ:

*მეკარეები: თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), პეტერ სკოვ-იენსენი (მიდტიულანდი);*

*მცველები: თომას ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია), სორენ კოლდინგი (ბოხუმი, გერმანია), სტევენ ლუსტუ (ლინი, ნორვეგია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), ესბიორნ სენელსი (ბრონდბიუ);*

*ნახევარმცველები: თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ფულემი, ინგლისი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), იესპერ გრონკიაერი (ბირმინგემი, ინგლისი), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი), ნიკოლაი სტოკჰოლმი (ოდენსე), მარტინ რეტოვი, თომას კალენბერგი (ორივე ბრონდბიუ);*



მორტენ ოლსენი

*თავდამსხმელები: იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), კენეტ ჰერესი (ალკმაარი, ჰოლანდია), ჰენრიკ პედერსენი (ბოლტონი, ინგლისი), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა, იტალია).*

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი 16 ლიგა
პირველი წრე
2 ტური
გადადებული მატჩი

### მერანი 1:2 სპარტაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 13:3 | 13 |
| ამერი | 5 | 4 | 0 | 1 | 17:1 | 12 |
| კახეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:12 | 12 |
| სპარტაკი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 11 |
| მერანი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 9 |
| დინამო 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 13:12 | 9 |
| ცხინვალი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:11 | 8 |
| გურია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |
| ივერია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| ოლიმპი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ჩიხურა | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:15 | 5 |
| რუსთავი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |
| საგარეჯო | 6 | 1 | 1 | 4 | 3:15 | 4 |
| მაღაროელი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | 2 |

di_na_mo_fan@hotmail.com

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვიღრიალოთ!

ფოტო: ალექსანდრე ბურკაძე

ხვალ „დინამომ“, დიდი შანსია, ქართული საკლუბო ფეხბურთის უახლეს ისტორიაში ყველაზე საამაყო გამარჯვება ჩაწეროს.

ამ გაცვეთილი გამოთქმის მერე კი ალალად ვთქვათ: ხალხო, მოგვენატრა ფეხბურთი. პატარების თაობას ფეხბურთი მხოლოდ ტელევიზორში უნახავს და ვერ წარმოუდგენია, ერთ დროს ეროვნულ სტადიონზე ნემსის ჩასაგდები ადგილი რომ არ რჩებოდა. მათთვის „ეროვნული“ ის ადგილია, სადაც გინდა ნემსი ჩააგდე, გინდა მახათი და გინდა ტანკი — მაინც არავის დაეცემა, ისე ცოტა ხალხი დადის.

„ეროვნული“ ვერც ხვალ გაივსება — ერთი რომ, სკამების ნაკლებობას უჩივის და, ესეც რომ არა, ვაღიაროთ, რომ გულშემატკივრობის კულტურა ჩვენში დაკარგულია. მაგრამ ის კი მგონია, რომ ხვალინდელ მატჩზე იმაზე მეტი ხალხი მივა, ბოლო წლებში რაგინდარა საკლუბო თამაშზე რომ მისულა. და თუ „დინამო“ ჯგუფში გავა, ვინძლო დასწრების ამბავი კიდევ უფრო გამოსწორდეს.

## საქართველო უეფას თასის ჯგუფში!

ამ გრძელი შესავლის მერე კი მკითხველთა წერილების რუბრიკას მივხედოთ, რომელიც ამ დღეებში „დინამოს“ მიეძღვნება.

**supermario**: „დინამომ“ გული დამწყვიტა, რომ ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი დინამოელი ლადო ბურდული გუნდიდან გაუშვა. ვერავინ დამაჯერებს, რომ კახა ალადაშვილი ბურდულზე მაგარია. ეს გეგუჩაძე კი რაც „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გახდა, სულ დაბღვერილია და არ იცინის. თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ხანდახან ხომ უნდა იცინოდეს! ახლა „ვისლასთანაა“ თამაში და მე ყველა წყენის დავიწყებას ვთხოვ ყველას, ვისთვისაც „დინამო“ ძვირფასია. გეგუჩაძეს კი ძალიან ვთხოვ, რომ ხანდახან გაიღიმოს. თუ გეგუჩაძე ახალკაცს ან ყიფიანს ბაძავს, არ ვურჩევ, არ ღირს. „ვისლასთან“ ნემსაძის გამოცდილება ძალიან უნდა გამოგვადგეს, თორემ მხოლოდ ახალგაზრდობით „ვისლას“ ვერ მოვუგებთ. იქნებ „ვისლას“ დამარცხების შემდეგ მაინც გაიცინოს გეგუჩაძემ.

მოდით, ასე ვთქვათ: ჩვენ გვინდა, რომ გია გეგუჩაძემ ხვალ გაიღიმოს! მომდევნო წერილის ავტორი კი ღრიალის ხასიათზე დამდგარა.

**ge-orgia**: დი-ნა-მო! დი-ნა-მო! დი-ნა-მო!

გამარჯობა სარბიელო!

ევროპის ჩემპიონატიდან მოყოლებული, ძაან მაგარ ტრადიციას ჩაუყარეთ საფუძველი. ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს პრესის ფურცლებიდან რომ აძლევთ შანსს თავისი სიხარული თუ გულისტკივილი (ოღონდ ნაკლებად იყოს რა) გამოხატოს...

ხვალ დიდი დღეა. დიდი ფეხბურთის დღე და ყველა ერთად უნდა დავირაზმოთ, ჩვენს „დინამოს“ არანორმალურად ვუქომაგოთ,ვიღრიალოთ: დი-ნა-მო, დი-ნა-მო! დი-ნა-მო! და ჩვენ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართული ფეხბურთის კიდევ ერთ სიხარულში და გამარჯვებაში.

ბიჭებს ახლა სჭირდებათ ჩვენი მხარდაჭერა, რათა ვისლა გადავცეროთ. განსაკუთრებით ზურაბ მამალაძეს უნდა დავუდგეთ გვერდით და გავამხნევოთ. ვუყვიროთ, ზურა, მიდი, მაგარი ხარ და ფსიქოლოგიურად მოვამაგროთ... არ ვიცი, ეს ბოლო დღეებია, ძალიან დაძაბული ვარ, ყოველგვარი პროგნოზისგან თავს ვიკავებ და მინდა ეს ჩემი ემოცია სტადიონზე ბოლომდე ამოვიღო. ხმის ჩახლეჩამდე ვიღრიალო: დი-ნა-მო! დი-ნა-მო! დი-ნა-მო! და ხალხოოოოოოოო, მოდიიი

# M-ACKA

## ასათიანმა მცველის ნილაბი მოირგო

**რუსულ პრემიერლიგაში 24 ტური ჩათავდა. 6 ტურიც და სეზონი დასრულდება, მერე კი დაიწყება თვლა-ანგარიში, სტატისტიკური შედარებები, საუკეთესოების გამოვლენა... მოკლედ, ისე, როგორც ხდება ხოლმე. სადღეისოდ კი ლაურეატთა შორის ჩვენი კაციც ტრიალებს...**

24 ტურის შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი პრემიერლიგის საუკეთესო ცენტრალური მცველია. უცნაურია, არა? ცოტა ხნის წინ ქართველ ზიდანად მონათლული ასათიანი გოლებით თუ საგოლე პასებით ხვრეტდა მეტოქეებს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, ახალ პოზიციას თუ შეეგუებოდა, მაგრამ...

ფეხბურთის სათამაშოდ სხვა ტექნიკურ-ტაქტიკურ ილეთებთან ერთად ალღო და ხასიათიც ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ასათიანს სწორედ ამან მისცა მცველობასთან შეგუების უნარი. დღეს კი ის მცველებით არცთუ შეჭირვებულ რუსეთში საუკეთესოა.

მას შემდეგ, რაც „ლოკომოტივში" ვარ, ცეესკასთან მატჩი საუკეთესო იყო ჩემთვისო, თქვა ასათიანმა და ასეც არის. სამი დღის წინ არმიელებთან ჯაბში მალხაზი მართლაც გამორჩეული გახლდათ. ჟურნალისტებმა 7,5 ქულა დაუწერეს და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

ნამატჩევს „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტმა ჩვენებურს ჰკითხა: მართალია, რომ საქართველოში თავდამსხმელად თამაშობდით? პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო: არა, საქართველოში გამთამაშებელი ვიყავი.

მალხაზი დღემდე გულდაწყვეტილია, მცველად რომ იცნობენ, მაგრამ...

— ნეტავ, ძირითადში ვითამაშო და თუ მეტყვიან, კარშიც ჩავდგები. ჩემთვის ამპლუებს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. თამაში მინდა — გვითხრა ასათიანმა მაშინ, როცა „ლოკომოტივის" თავკაცმა იური სიომინმა განაცხადა, აქამდე სათადარიგო ქართველს მცველად ვამზადებო.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. რუსეთის ჩემპიონატი სადაცაა, ჩამთავრდება და ასათიანი ერთადერთი ქართველია, პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრის შანსი რომ აქვს. ცენტრალურ მცველებს შორის ჩვენებური საშუალო 6,00 ქულით ლიდერობს, მეორეზე ტორპედოელი ანდრეი სტეპანოვია (5,94 ქულა), მერე მოდიან ლოკომოტიველი დმიტრი სენიკოვი (5,90), არმიელი სერგეი იგნაშევიჩი (5,88), სატურნელი ჟედერი (5,82) და შინიკელი კშიშტოფ ლაგევკა (5,82).

ბოლოს ერთ ნომინაციასაც შევეხოთ — პრემიერლიგაში მოთამაშე უცხოელთა შორის მალხაზი მეხუთე ადგილზეა. მის წინ ჩეხი ირჟი იაროშიკი (6,16), ხორვატი ივიცა ოლიჩი (6,16), ნიგერიელი ჩიდი ოდია (6,08) და ბოსნიელი ელვირ რახიმიჩი (6,00) არიან.

პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრები კი დღეს ასეთია: *მალაფეევი (ზენიტი), ოდია (ცსკა), **ასათიანი** (ლოკომოტივი), გურენკო (ლოკომოტივი), გუსევი (ცსკა), ალდონინი (ცსკა), კარიაკა (კრილია), იაროშიკი (ცსკა), ლოსკოვი (ლოკომოტივი), სიჩოვი (ლოკომოტივი), არშავინი (ზენიტი).*

**ძახა შალამბერიძე**

# სწორ თამაშს აგრესია ანგრევს

## საუკეთესო გოგობერიშვილი ახლა იქნება

გაფრი კეთილაძის ფოტო

*სახელიანი და გამორჩეული ფეხბურთელები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსაც ჰყავს. 27 წლის ალეკო გოგობერიშვილმა ზაურ სვანაძის გაწვრთნილ „ლოკომოტივში" ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა და მყის თავი მოაწონა მწვრთნელს, მედიას თუ გულშემატკივარს...*

წინა სეზონის მეორე ეტაპი გახურებული იყო, როცა თბილისის „დინამოდან" ივო შუშაკი გაუშვეს და გუნდის გაძღოლა გია გეგუჩაძეს ანდეს. ახალმა მწვრთნელმა „დინამოდან" რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვა, მათ შორის გოგობერიშვილიც. გეგუჩაძის განმარტება ასეთი გახლდათ: გოგობერიშვილი შეტევაში გუნდის თამაშს აბრკოლებს.

ასეთ შეხედულებას არ ვეთანხმები — ეს კი გოგობერიშვილის პასუხი გეგუჩაძის განმარტებაზე.

ფეხბურთიც იმისაა, რომ იკამათონ და შუშაკის „დინამო" კამათის მიზეზს აშკარად იძლეოდა. მაშინ გოგობერიშვილს შეტევაში მხოლოდ ის ევალებოდა, რომ მეკარისთვის თუ მცველისთვის ბურთი გამოერთმია და ის ფლანგებზე ან დარასელია-ანჩაბაძემდე მიეტანა. როცა „დინამო" უტევდა, ბურთი ყოველთვის წინ იყო და გოგობერიშვილი მის უკან. „მწვრთნელი რასაც მავალებდა, იმას ვაკეთებდი. ვგრძნობდი, რომ მაშინ შეზღუდული ვიყავი, მაგრამ პრეტენზიები არ გამომითქვამს" — ამბობს გოგობერიშვილი.

ალეკო „ლოკომოტივშიც" საყრდენი ნახევარმცველია, მაგრამ ახლა მას მეტი საშუალება აქვს, წინ წავიდეს და შეუტიოს.

თუმც „დინამო" მაინც „დინამოა", დინამოელობას სულ სხვა ეშხი აქვს და დინამოელობა სულ სხვა გამოწვევაა. „როცა „დინამოდან" გამომიშვეს, ტრაგედია არ შემიქმნია. სამართლიანი იყო ეს თუ უსამართლო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ამას არ აქვს. რეალობას უნდა შეეგუო" — გოგობერიშვილი ისეთია, რომ წარსულზე ლაპარკი და კირკიტი არ უყვარს.

„რუსეთში, უკრაინაში თუ კვიპროსზე შემეძლო წასვლა, მაგრამ ქუსლის ტრავმამ შემაფერხა. მკურნალობა ისე გაიწელა, რომ სექტემბრის დასაწყისშიღა შევძელი მინდორზე გასვლა, მანამდე ტრენაჟორებით და აუზით ვინარჩუნებდი ტონუსს — „დინამოდან" დათხოვნილ ალეკოს მოსამზადებელი პერიოდი ამიტომ გაუცდა, თუმც ეს დიდად არ ანაღვლებდა — კიდევ ორი-სამი თამაში მჭირდება ოპტიმალური ფორმის აღსადგენად მიუხედავად იმისა, რომ შეკრება არ გამივლია და გამოცდილების ხარჯზეც შემიძლია გაცდენილის აღდგენა".

როცა გოგობერიშვილი დინამოელი იყო, ეროვნული ნაკრების სპასალარ ალენ ჟირესის ყურადღება მიიქცია და ნაკრების კანდიდატად ითვლებოდა, თუმც სწორედ იმ დროს ჩაიბარა „დინამო" გეგუჩაძემ და გოგობერიშვილი-ნაკრები გადაიდო. „ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და კიდევ იმაზე, თუ მწვრთნელი რა თვალით შემომხედავს" — გოგობერიშვილს ეროვნულ ნაკრებში ჟირესამდე ოთხჯერ უთამაშია.

ალეკოს ლოკომოტივური კონტრაქტი ერთწლიანია, რაც ტიტულით უნდა რომ დაასრულოს, მაგრამ ჩემპიონობისთვის და თასისთვის ხომ პირველ რიგში თბილისის „დინამო" იბრძვის. „ამბიციური ფეხბურთელი ვარ და გამარჯვებები კვლავაც მსურს. „დინამო" სწორ ფეხბურთს კი თამაშობს, მაგრამ დაუმარცხებელი გუნდი არაა. საერთოდ, მეტოქის სწორი თამაში აგრესიული თამაშით უნდა დაანგრიო. ჩვენ ახლა ლადო ბურდულიც შემოგვიერთდა და „ლოკომოტივი" შემადგენლობით არავის ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება" — გვითხრა გოგობერიშვილმა.

ამ ნახევარმცველმა ქართულ საფეხბურთო მიკროსამყაროს 1996-97 წლების სეზონში გააცნო თავი. შემდეგ იყო „დინამო", „ლოკომოტივი", „ანჟი", „ვიტ ჯორჯია", „დინამო" და ერთხელაც „ლოკომოტივი". რომელი პერიოდი იყო საუკეთესო ალეკოს კარიერაში? „ყველაზე კარგი პერიოდი ჯერ არ მქონია, ეს აწი იქნება" — ასეთია გოგობერიშვილის სიტყვა.

**დავით თავართქილაძე**

გაფრი კეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

–წუთიერი დუმილიც, რა თქმა უნდა–

ამ ტაბლოზე ტკივილიც წერია

როდის ნახავს სოხუმელების ეს პატარა სოხუმს?



ზოგჯერ მსაჯი ექიმიცაა

# არ გვინდა სადღეგრძელო, აფხაზეთი გვინდა!

გზებზე რომ აბრებია გაკრული, გვახსოვდეს აფხაზეთიო, არ მჯერა იმის. სუფრაზე სადღეგრძელოს რომ იტყვიან, წასულების ხსოვნა იყოსო, იმას ჰგავს. სადღეგრძელოებით ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს!

თან ის არის, რომ ლტოვლილ ბავშვებს რამდენიც არ უნდა უძახო, ვერ ეხსომებათ აფხაზეთი.

27 სექტემბერს სოხუმის „დინამომ“ და „ცხუმმა“ ითამაშეს „ლოკომოტივზე“. რეგინული ლიგა უძახე და, კარგი ლაღი თამაში იყო. ისიც არ დავიწყებიათ, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო: წუთიერი დუმილი, საგანგებოდ შეკერილი მაისურები და საჩუქრები. მაგრამ როგორ გინდა, სტადიონიდან დამძიმებული გულით არ წამოხვიდე, როცა ორი სოხუმური გუნდი თბილისში იმიტომ თამაშობს, რომ სოხუმში არ ჩაესვლებათ.

**ბადრი კეთილაძე**

**ავტორის ფოტოები**

სოხუმურ დერბის, ცხადია, გრიგოლ ცაავაც არ დააკლდა

რეგონალლიგის შარშანდელი ბომბარდირი, ცხუმელი ირაკლი თოლორდავა ვლადიმერ ბარქაიამ დააჯილდოვა

# სარგებელი: კრიკეტი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.45 | 150 | დერი-ვესტ ჰემი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 22.45 | 151 | ნოტინგემი-ბრაიტონი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 269 | რეჯინა-ატალანტა | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,14 | 1,26 | 1,71 |
| 20.00 | 270 | ლეჩე-ლივორნო | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 22.30 | 271 | კიევო-ტორინო | 1,8 | 2,9 | 4,4 | 1,11 | 1,27 | 1,74 |
| 22.30 | 272 | ბრეშა-ფიორენტინა | 2,25 | 2,8 | 3,2 | 1,24 | 1,32 | 1,49 |
| 22.30 | 273 | კალიარი-ტრიესტინა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 22.30 | 274 | ბოლონია-ტერნანა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 275 | სიენა-მესინა | 2,15 | 2,9 | 3,3 | 1,23 | 1,3 | 1,54 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ცსკა-პსუ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.45 | 010 | ჩელსი-პორტუ | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.45 | 011 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.45 | 012 | რუსენბორგი-არსენალი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| 22.45 | 013 | ბარსელონა-შახტარი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.45 | 014 | მილანი-სელტიკი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.45 | 015 | ანდერლეხტი-ინტერი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 22.45 | 016 | ვერდერი-ვალენსია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 101 | დინამო(თბ)-ვისლა | 4,4 | 3,4 | 1,5 | 1,91 | 1,11 | 1,04 |
| 19.00 | 102 | გენჩლერბირლიგი-ეგალეო | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 20.00 | 103 | მეტალურესი-შალკე | 4,4 | 3,6 | 1,65 | 1,98 | 1,2 | 1,13 |
| 20.00 | 104 | დნიპრო-მაკაბი(ჰ) | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 20.00 | 105 | ჰერენვენი-მაკაბი(ფ.თ) | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 20.00 | 106 | შტუტგარტი-უიპეშტი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 20.15 | 107 | ცსკა-სტიაუა | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 20.30 | 108 | შატორუ-ბრიუგე | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 20.30 | 109 | ამიკა-ვენტსპილსი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 21.00 | 110 | სტაბეკი-სოშო | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 21.00 | 111 | დინამო(ბქ)-ჰარტიზანი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.00 | 112 | ლიტექსი-გრაცერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.00 | 113 | სიგმა-სარაგოსა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.30 | 114 | ლილი-შელბურნი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 21.30 | 115 | ცრვენა ზვეზდა-ზენიტი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 21.30 | 116 | ბეშიქთაში-ბოდიო გლიმტი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| 21.30 | 117 | ბრაგა-ჰართსი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 21.45 | 118 | ჰაპოელი-ნიუკასლი | 4,6 | 3,5 | 1,65 | 1,98 | 1,21 | 1,12 |
| 22.00 | 119 | ბევერენი-ლევსკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 120 | ოსერი-ოლბორგი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 22.00 | 121 | ალკმაარი-ჰაოკ | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.00 | 122 | ალემანია-ჰაფნარფიორდური | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 22.15 | 123 | ელფსბორგი-დინამო(ზ) | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.15 | 124 | ბაზელი-ტერეკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 22.15 | 125 | იურგორდენი-უტრეხტი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 22.15 | 126 | მარიბორი-პარმა | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 22.30 | 127 | ფეიენოორდი-ოდ გრენლანდი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 22.30 | 128 | ბოხუმი-სტანდარდი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 22.30 | 129 | აეკ-გორიცა | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 22.45 | 130 | ლეგია-აუსტრია | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.45 | 131 | რაპიდი-სპორტინგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.45 | 132 | ბანიკი-მიდლსბრო | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.00 | 133 | რეინჯერსი-მარიტიმუ | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 134 | ლაციო-მეტალურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.00 | 135 | ნასიონალი-სევილია | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 23.00 | 136 | ფერენცვაროში-მილუოლი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 23.00 | 137 | უდინეზე-პანიონიოსი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 23.00 | 138 | ბენფიკა-ბ.ბისტრიცა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.30 | 139 | ბილბაო-ტრაბზონი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 24.00 | 140 | ვილიარეალი-ჰამარბი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 345 | 19:15 | ისტრი-მარსელი | 3.1 | 3.0 | 2.17 | 1.52 | 1.27 | 1.25 |
| 346 | 22.00 | ლანსი-აიაჩო | 1.6 | 3.3 | 5.2 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 347 | 22.00 | კაენი-ბორდო | 2.43 | 3 | 2.67 | 1.34 | 1.27 | 1.41 |
| 348 | 22.00 | სტრასბური-ნანტი | 2.4 | 3.15 | 2.6 | 1.36 | 1.24 | 1.42 |
| 349 | 22.00 | მონაკო-ნიცა | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 350 | 22:00 | ბასტია-პსუ | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 351 | 20.00 | მეცი-სოშო | 2.1 | 3.0 | 3.25 | 1.23 | 1.27 | 1.55 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 352 | 20.00 | რენი-ლილი | 2.2 | 3.1 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 353 | 20.00 | ტულუზი-ოსერი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 354 | 23.00 | სტ.ეტიენი-ლიონი | 3.7 | 3.0 | 1.35 | 1.65 | 1.27 | 1.18 |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 355 | ანჟე-კლერმონი | 2.1 | 2.65 | 3.9 | 1.17 | 1.36 | 1.57 |
| 22.00 | 356 | ბრესტი-გრენობლი | 2.1 | 2.8 | 3.6 | 1.2 | 1.32 | 1.57 |
| 22.00 | 357 | ლავალი-გენგამი | 2.45 | 2.7 | 2.9 | 1.28 | 1.32 | 1.39 |
| 22.00 | 358 | ლორიანი-ამიენი | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 22.00 | 360 | სედანი-ლე ავრი | 1.9 | 2.7 | 4.5 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 22.00 | 361 | ტრუა-კრეტეი | 1.8 | 2.7 | 5 | 1.08 | 1.32 | 1.75 |
| 22.00 | 362 | მონპელიე-ლე მანი | 2 | 2.8 | 3.6 | 1.16 | 1.28 | 1.57 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 363 | შატორუ-გენიონი | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 382 | 22.00 | ნაიმეგენი-როზენდალი | 1.65 | 3.5 | 4.32 | 1.12 | 1.19 | 1.93 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 383 | 21.30 | ბრედა-გრააფსხაპი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 384 | 21.30 | პსვ-გრონინგენი | 1.15 | 5.6 | 13 | 1 | 1.05 | 3.91 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 385 | 21.30 | ტილბურგი-ვიტესი | 2.0 | 3.3 | 3.15 | 1.24 | 1.22 | 1.61 |
| 386 | 22.00 | ტვენტე-როდა | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 387 | 14.30 | ალკმაარი-აიაქსი | 3.8 | 3.3 | 1.8 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 388 | 16.30 | ფეიენოორდი-დენ ბოსხი | 1.15 | 5.8 | 12 | 1.0 | 1.04 | 3.91 |
| 389 | 16.30 | ჰერენვენი-დენ ჰააგი | 1.5 | 3.4 | 6.2 | 1.04 | 1.2 | 2.19 |
| 390 | 16,30 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 391 | 22.00 | სპარტა-ზვოლე | 2.2 | 3.25 | 2.69 | 1.31 | 1.21 | 1.47 |
| 392 | 22.00 | ტელსტარი-კამბური | 2.2 | 3.3 | 2.65 | 1.32 | 1.2 | 1.46 |
| 393 | 22.00 | ვენლო-ეინდჰოვენი | 1.35 | 4.2 | 6.45 | 1.02 | 1.11 | 2.54 |
| 394 | 22.00 | აპელდორნი-ოსი | 2.05 | 3.3 | 2.9 | 1.26 | 1.2 | 1.54 |
| 395 | 22.00 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 1.6 | 3.5 | 4.48 | 1.09 | 1.17 | 1.96 |
| 396 | 22.00 | სიტარდი-ვოლენდამი | 2.5 | 3.3 | 2.31 | 1.42 | 1.2 | 1.35 |
| 397 | 22.00 | იგლსი-ემენი | 2.1 | 3.3 | 2.81 | 1.28 | 1.2 | 1.51 |
| 398 | 22.00 | ჰელმონდი-ექსელსიორი | 2.6 | 3.3 | 2.23 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| 399 | 22.00 | ჰერაკლესი-ჰაარლემი | 1.6 | 3.6 | 4.3 | 1.1 | 1.16 | 1.95 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 512 | სოვნდალი-მოლდე | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 20.00 | 513 | ჰამარი-რუსენბორგი | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 20.00 | 514 | ოდ გრენლანდი-ვოლერენგა | 2.5 | 3 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 20.00 | 515 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 20.00 | 516 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.65 | 3.5 | 4.2 | 1.12 | 1.18 | 1.9 |
| 22.15 | 517 | ტრომსიო-ბრანი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 944 | სტაბეკი-ლილესტრიომი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 518 | 17.00 | ვარდ ჰაუგესუნდი-სკეიდი | 2.2 | 4.1 | 2.3 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 519 | 17.00 | სტარტი-კონგსვინგერი | 1.35 | 4.5 | 5.7 | 1.03 | 1.09 | 2.51 |
| 520 | 17.00 | სანდეფიორდი-ჰაუგესუნდი | 1.35 | 5.0 | 5.4 | 1.06 | 1.08 | 2.59 |
| 521 | 17.00 | ჰიონეფოსი-მანდალი | 1.75 | 4.2 | 3.1 | 1.23 | 1.11 | 1.78 |
| 522 | 17.00 | რაუფოსი-სტრიომსგოდსეტი | 1.8 | 4.2 | 3.0 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 523 | 17.00 | ტრომსდალენი-პორს გრენლანდი | 2.7 | 3.9 | 2.0 | 1.59 | 1.14 | 1.32 |
| 524 | 17.00 | ჰიოდი-მანდალი | 1.7 | 3.8 | 3.6 | 1.17 | 1.15 | 1.84 |
| 525 | 17.00 | ბრინი-ალესუნდი | 2.7 | 3.9 | 2.0 | 1.59 | 1.14 | 1.32 |
| | | **ბრაზილია. სერია A** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 587 | 03.30 | კრიციუმა-ვუარანი | 1.7 | 3.1 | 4.92 | 1.09 | 1.26 | 1.9 |
| 588 | 03.30 | გოიასი-ჟუვენტუდი | 1.8 | 3.1 | 4.15 | 1.13 | 1.25 | 1.77 |
| 589 | 03.30 | პალმეირასი-სან კაეტანო | 2.0 | 3.0 | 3.5 | 1.2 | 1.27 | 1.61 |
| 590 | 03.30 | პარანა-ვასკუ და გამა | 2.2 | 3.0 | 3.05 | 1.26 | 1.27 | 1.51 |
| 591 | 03.30 | ვიტორია-ატლეტიკო პრ | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 592 | 04.50 | ფლამენგო-კორინთიანსი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 593 | 04.50 | ინტერნასიონალი-სანტოსი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 594 | 04.50 | პონტე პრეტა-ბოტაფოგო | 1.6 | 3.3 | 4.5 | 1.07 | 1.18 | 1.9 |
| | | **მექსიკა. აპერტურა** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 566 | 23.00 | პუებლა-მონტერეი | 1.8 | 3.2 | 3.5 | 1.15 | 1.18 | 1.67 |
| 567 | 23:45 | ტეკოსი-ხაგუარესი | 1.9 | 3.2 | 3.2 | 1.19 | 1.19 | 1.6 |
| 568 | 23:45 | სანტოსი-ნეკახა | 1.95 | 3.1 | 3.2 | 1.19 | 1.21 | 1.57 |
| 569 | 23:45 | ტიგრესი-პაჩუკა | 1.9 | 3.1 | 3.35 | 1.17 | 1.21 | 1.61 |
| 570 | 23:45 | ვერაკრუსი-ტოლუკა | 1.8 | 3.1 | 3.75 | 1.13 | 1.21 | 1.69 |
| 571 | 23:45 | ამერიკა-მორელია | 1.75 | 3.2 | 3.8 | 1.13 | 1.19 | 1.73 |
| 572 | 23:45 | დორადოსი-ჩივასი | 2.2 | 3.1 | 2.6 | 1.28 | 1.19 | 1.41 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 532 | 21.00 | ფრიოლუნდა-გაის | 2.3 | 3.0 | 2.65 | 1.3 | 1.23 | 1.4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 498 | კოპენჰაგენი-ჰერფიოლგე | 1.4 | 4.1 | 6.5 | 1.04 | 1.15 | 2.51 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 499 | ოლბორგი-სილკებორგი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 17.00 | 500 | ოდენსე-ვიბორგი | 1.7 | 3.5 | 4.3 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 17.00 | 501 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.65 | 3.6 | 4.4 | 1.13 | 1.2 | 1.98 |
| 17.00 | 502 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.8 | 3.5 | 3.8 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 19.30 | 503 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 1.2 | 5.2 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.47 |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 620 | 18.00 | დალუმი-ნორდსიელანდი | 10 | 4.8 | 1.25 | 3.24 | 1.11 | 1.0 |
| 621 | 21.00 | ფრემი-რანდერსი | 2.6 | 3.3 | 2.25 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| 622 | 21.00 | ფრემადი-ფრედერისია | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 623 | 21.00 | ბ 93-იოლსტიკე | 5.2 | 4.1 | 1.45 | 2.29 | 1.13 | 1.07 |
| 624 | 21.00 | ჰორსენსი-სილკებორგი | 2.7 | 3.4 | 2.1 | 1.5 | 1.18 | 1.29 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 300 | აბერდინი-დანდი | 1.8 | 3.3 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 18.00 | 301 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2.4 | 3 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 302 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 9.5 | 4.6 | 1.25 | 3.09 | 1.1 | 1.0 |
| 18.00 | 303 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.2 | 5 | 11 | 1 | 1.08 | 3.43 |
| 18.00 | 304 | ჰართსი-ლივინგსტონი | 1.6 | 3.5 | 4.6 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 18.00 | 305 | ინვერნესი-მოზერუელი | 2.7 | 3 | 2.4 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 306 | როსი-ფოლკირკი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 18.00 | 307 | ერდრი-ჰამილტონი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18.00 | 308 | პარტიკი-რეითი | 1.5 | 3.6 | 5.7 | 1.05 | 1.18 | 2.2 |
| 18.00 | 309 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18.00 | 310 | ქუინი-სტ.მირენი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 364 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა | 2.4 | 3.2 | 2.5 | 1.37 | 1.22 | 1.4 |
| 22.00 | 365 | მონსი-ბრიუსელი | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| 22.00 | 366 | ანდერლეხტი-სერკლი | 1.2 | 5.5 | 10 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 22.00 | 367 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 2.15 | 3.2 | 2.8 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 22.00 | 368 | გენტი-ოსტენდე | 1.4 | 3.6 | 7 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 369 | ბევერენი-ლიერსი | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 17.00 | 370 | ვესტერლო-ლუვიე | 2.15 | 3 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 17.00 | 371 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.7 | 3.2 | 4.4 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| 22.00 | 372 | ბრიუგე-გენკი | 1.35 | 4.3 | 6.8 | 1.02 | 1.12 | 2.63 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 321 | მატერსბურგი-შტურმი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 322 | პაშინგი-ზალცბურგი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 17.30 | 323 | რაპიდი-ბრეგენცი | 1.25 | 4.7 | 9.6 | 1.0 | 1.1 | 3.15 |
| 17.30. | 324 | ადმირა-აუსტრია | 3.8 | 3.1 | 1.9 | 1.7 | 1.26 | 1.17 |
| 17.30 | 325 | გრაცერი-ტიროლი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 326 | კერნტენი-ლეობენი | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 21.00 | 327 | აუსტრია(ლ)-რიდი | 2.3 | 3.1 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 21.00 | 328 | ვიორგლი-უნტერზიბენბრიუნი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21.00 | 329 | კაფენბერგი-გრატკორნი | 1.42 | 4 | 6 | 1.04 | 1.14 | 2.4 |
| 21.00 | 344 | ლინცერი-ალტახი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 330 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1.65 | 3.3 | 5 | 1.1 | 1.24 | 1.98 |
| 21.30 | 331 | სტ.გალენი-ციურიხი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.30 | 332 | ქსამაქსი-ბაზელი | 3.4 | 3.3 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 18.00 | 333 | შაფჰაუზენი-იანგ ბოიზი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18.15 | 334 | თუნი-აარაუ | 1.7 | 3.3 | 4.7 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 426 | ანკარა-გალათასარაი | 4.5 | 3.4 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| 15.00 | 427 | რიზე-მალათია | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 15.00 | 428 | ანკარაგიუჯიუ-გაზიანთეფი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 15.00 | 429 | დიარბაქირი-საკარია | 1.55 | 3.4 | 5.4 | 1.06 | 1.2 | 2.08 |
| 15.00 | 430 | ფენერბაჰჩე-დენიზლი | 1.35 | 4.5 | 7.3 | 1.03 | 1.13 | 2.78 |
| 15.00 | 431 | ისთანბული-კაისერი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 15.00 | 432 | კონია-გენჩლერბირლიგი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 15.00 | 433 | სამსუნი-სებათი | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 15.00 | 434 | ტრაბზონი-ბეშიქთაში | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 458 | ზლინი-სპარტა | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| 22.00 | 459 | სლავია-სლოვაცკო | 1.55 | 3.5 | 5 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 19.00 | 460 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 22.00 | 461 | ლიბერეცი-ბრნო | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | 1.9 |
| 22.00 | 462 | ოპავა-ტეპლიცე | 2.6 | 2.8 | 2.7 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 463 | პრუიბრამი-ბოლესლავი | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | 1.9 |
| 19.00 | 464 | ბლშანი-დრნოვიცე | 2 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.16 |
| 22.00 | 942 | სიგმა-ბანიკი | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.15 |
| | | **ურუგვაი. აპერტურა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 595 | დეფენსორი-პენიაროლი | 2.7 | 3.25 | 2.2 | 1.47 | 1.21 | 1.31 |
| 22.30 | 596 | ფენიქსი-სერიტო | 2.2 | 3.2 | 2.75 | 1.3 | 1.22 | 1.47 |
| 22.30 | 597 | ლივერპული-ნასიონალი | 3.4 | 3.2 | 1.9 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 22.30 | 599 | რენტისტასი-უონდერერსი | 2.6 | 3.2 | 2.3 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 909 | 19.30 | იოკერიტი-კერპეტი | 1.9 | 4.25 | 2.7 | 1.31 | 1.11 | 1.65 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 14.00 | 935 | დინამო-სევერსტალი | 1.65 | 4.5 | 3.5 | 1.2 | 1.12 | 1.96 |
| 14.00 | 936 | ლადა-მოლოტი | 1.3 | 6 | 5.5 | 1.06 | 1.05 | 2.86 |
| 14.00 | 937 | ლოკომოტივი-აკ ბარსი | 1.8 | 4.2 | 3.0 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 14.00 | 938 | მაგნიტოგორსკი-ასკ | 1.35 | 5.6 | 5.2 | 1.08 | 1.07 | 2.69 |
| 14.00 | 939 | ს.იულაევი-ცსკა | 2.2 | 4.3 | 2.3 | 1.45 | 1.12 | 1.49 |
| 14.00 | 940 | სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 2.55 | 4.8 | 2.0 | 1.66 | 1.12 | 1.41 |




ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით




## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5009 | ცსკა-პსჟ | 2,4 | 2,0 | 4,4 | 1,09 | 1,55 | 1,37 |
| 5010 | ჩელსი-პორტუ | 1,8 | 2,35 | 5,6 | 1,01 | 1,36 | 1,65 |
| 5011 | პსვ-პანათინაიკოსი | 2,1 | 2,1 | 5,3 | 1,04 | 1,5 | 1,5 |
| 5012 | რუსენბორგი-არსენალი | 5,6 | 2,3 | 1,85 | 1,63 | 1,39 | 1,02 |
| 5013 | ბარსელონა-შახტარი | 1,35 | 3,5 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,43 |
| 5014 | მილანი-სელტიკი | 1,55 | 2,8 | 7,0 | 1 | 1,26 | 2 |
| 5015 | ანდერლეხტი-ინტერი | 3,8 | 2,0 | 2,6 | 1,31 | 1,54 | 1,13 |
| 5016 | ვერდერი-ვალენსია | 3,2 | 2,0 | 3,1 | 1,23 | 1,57 | 1,21 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | ცსკა-პსჟ | 1,75 | 2,1 |
| 5410 | ჩელსი-პორტუ | 1,4 | 3,0 |
| 5411 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,55 | 2,5 |
| 5412 | რუსენბორგი-არსენალი | 2,8 | 1,45 |
| 5413 | ბარსელონა-შახტარი | 1,15 | 4,4 |
| 5414 | მილანი-სელტიკი | 1,25 | 3,7 |
| 5415 | ანდერლეხტი-ინტერი | 2,0 | 1,8 |
| 5416 | ვერდერი-ვალენსია | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | ცსკა-პსჟ | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5110 | ჩელსი-პორტუ | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5111 | პსვ-პანათინაიკოსი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5112 | რუსენბორგი-არსენალი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 5113 | ბარსელონა-შახტარი | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 |
| 5114 | მილანი-სელტიკი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5115 | ანდერლეხტი-ინტერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5116 | ვერდერი-ვალენსია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | ცსკა-პსჟ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | ჩელსი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | პსვ-პანათინაიკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | რუსენბორგი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბარსელონა-შახტარი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | მილანი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ანდერლეხტი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ვერდერი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | ცსკა-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 5310 | ჩელსი-პორტუ | 1,7 | 1,9 |
| 5311 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,7 | 1,9 |
| 5312 | რუსენბორგი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ბარსელონა-შახტარი | 1,85 | 1,75 |
| 5314 | მილანი-სელტიკი | 1,8 | 1,8 |
| 5315 | ანდერლეხტი-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ვერდერი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | ცსკა-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 5210 | ჩელსი-პორტუ | 1,75 | 1,85 |
| 5211 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,85 | 1,75 |
| 5212 | რუსენბორგი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 5213 | ბარსელონა-შახტარი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | მილანი-სელტიკი | 1,85 | 1,75 |
| 5215 | ანდერლეხტი-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 5216 | ვერდერი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |

# ელდარ კურტანიძე: ოთხი წელი თავი უნდა გადავდო

## ვისაც ჩემთან არ უნდა, სხვა გზით იაროს

*„დღეს ელდარ კურტანიძე ჭიდაობს“, „ნახე, ელდარი რა ამბებს დაატრიალებს“, „მესამე ოქრო სად წაგვივა“ — ათენში ელდარ კურტანიძის პირველ ჭიდაობამდე ერთი დღით ადრე თბილისის ქუჩებში ლაპარაკი ამ თემით იწყებოდა და მთავრდებოდა. მოკლედ, წყვილ-წყვილი ოქრო-ვერცხლით გულგახარებულები ოლიმპიადის ბოლო დღეებში კიდევ ერთ ტრიუმფს ველოდით.*

*იმედი მალევე გაქრა. ჩვენმა ტიტულიანმა მოჭიდავემ ჯგუფშივე წააგო ირანელ ალი რეზა ჰეიდართან, რომელიც ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, მათ შორის ერთხელ ირანშიც დაემარცხებინა. ფიასკოგანცდილ ელდართან თბილისში ჩამოსვლისთანავე დალაპარაკება ჭრილობაზე მარილის დაყრას ნიშნავდა, თუმც მის საუბარს არც გუშინ მოსცილებია ნაღვლიანი ტონი. და მაინც, წინ პეკინია... დიახ, ელდარი ამ ოთხი წლის განმავლობაში თავის გადადებას აპირებს, სანამ მიზანს არ მივაღწევ, მშვიდად ვერ დავიძინებო...*




— მარცხს არავის ვაბრალებ, დამნაშავე მხოლოდ მე ვარ და პირველ რიგში ქართველ ერს მოვუბოდიშებ. მიზეზები? ჩემი თხოვნით, ბოლო შეკრება ზღვაზე გავიარეთ, რამაც თითქოს მობილიზება დაგვიკარგა. კი, მოსამზადებელი პირობები ჩინებული იყო, მაგრამ დამსვენებლების ფაქტორი ვერ გავითვალისწინე. ყურადღება გაგვეფანტა, ხალხსაც სულ ჩვენთან ყოფნა უნდოდა და ამან ნამდვილად უარყოფითად იმოქმედა. ვიმეორებ, ზღვაზე შეკრება ჩემი ინიციატივა იყო.

**— ჰეიდარი შენთვის უხერხული მეტოქე არ არის და მაინც რა დააკელი მასთან ბრძოლას?**

— სპორტში ყველაფერი ხდება. ალბათ იღბალმაც იმოქმედა. რაღაც მომენტში მოვდუნდი კიდეც. მარცხის შემდეგ თითქოს თვალები დამიბნელდა — წარმოვიდგინე, როგორ გავუცრუე ჩემს ხალხს იმედები, რამდენმა იტირა სიმწრისგან... აი, ჩვენი მთავარი მწვრთნელი, მთასავით კაცი ზაზა თურმანიძე გულამოსკვნით ტიროდა.

**— თქვენს გამოსვლამდე „ბერძენ-რომაელებმა“ რომ წააგეს, ამან ფსიქოლოგიურად ხომ არ გაგტეხა?**

— მანამდე, პირველივე დღეს ნესტორ ხერგიანმა მთელი ქართული დელეგაცია დარაზმა. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა უბრალოდ, ძალიან დაგვწყვიტეს გული, თორემ ხალიჩაზე გასვლისას ამან ნაკლებად იმოქმედა.

**— შენგან ყველაზე მეტად მოელოდნენ ოქროს მედალს. იქნებ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძელი...**

— ზეწოლას ვერ დავარქმევ. ეს რომ განმეცადა, უკეთესი იქნებოდა. უფრო თავდაჯერებულობამ იმოქმედა: ბოლო ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე და A კატეგორიის ტურნირებზე გავიმარჯვე, რაც თავისთავად ყურში ჩამძახოდა, რომ ოლიმპიადის მთავარი ფავორიტი ვიყავი.

**— მთავარი კითხვა: აპირებ თუ არა კარიერის გაგრძელებას?**

— ულაპარაკოდ. ათენში ნამარცხევს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილით დაწყებული, ყველა რიგითი გულშემატკივარი მამშვიდებდა. უდიდესი თანადგომა ვიგრძენი. სპორტიდან წაგებით ვერ წავალ, ეს ჩემს ხასიათში არ ჯდება. იქამდე არ მოვისვენებ, სანამ მიზანს არ მივაღწევ.

**— ესე იგი პეკინშიც გვექნება შენი იმედი...**

— პეკინამდეც არაერთხელ ვეცდები ქართველი ერის გახარებას. გაისად ბუდაპეშტშია მსოფლიოს ჩემპიონატი, ორი წლის შემდეგ თავად პეკინში... მოკლედ, გამარჯვება მწყურია. ამ 4 წლის განმავლობაში თავი და, თუ საჭიროა, ოჯახიც უნდა გადავდო — მომავალ ოლიმპიადაზე ჩემი ჯერი უნდა დადგეს.

**— ოჯახში როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას, უნდოდათ, რომ კარიერა დაგესრულებინა?**

— ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ მიზნის მიღწევამდე მშვიდად ვერ ვიცხოვრებ.

**— ვარჯიში უკვე დაიწყე და წლეულს ხომ არ იჭიდავებ რომელიმე ტურნირზე?**

— წლეულს არა. ამას წინათ, დათო ხურციას ვთხოვე ჩემი მწვრთნელობა. გია გალდავასთან ერთად ისიც დამეხმარება. დათო ფანატიკოსია თავისუფალ ჭიდაობაში.

**— გიორგი ასანიძემ და სხვა სპორტსმენებმაც თქვეს, ელდარ კურტანიძე შოკშია და როგორმე უნდა გადავატანინოთო. მაინც როგორ გამშვიდებენ?**

— გიაც და ზურაბ ზვიადაურიც ის ადამიანები არიან, გაჭირვებისას თავზე რომ გადაგყვებიან. სადაც არ უნდა წავიდნენ ისინი, მუდამ გმირები იქნებიან არა მარტო დიდი სპორტსმენობის, არამედ დიდი გულიანობის გამო. ამიტომაც არის, რომ მათ გამარჯვებას ხალხი მეც მილოცავს.

...თბილისში ჩამოსვლისას ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან — ჯანო ბაგრატიონთან და ემზარ ზენაიშვილთან მქონდა შეხვედრები, რომლებიც კრიზისულ პერიოდში ყურადღებას არ მაკლებდნენ. ყველა ერთს მეუბნება — დაივიწყე წაგება, შენ იმდენჯერ გაგიხარებივართ, რომ ჩვენთვის ყოველთვის საყვარელ სპორტსმენად დარჩებიო.

...სამწუხაროდ, ქილიკიც მოვისმინე. რას იზამ, ყველას არ შეუძლია ნუგეშის ცემა, ერთი წაგების გულისთვის ყველაფერს წყალში ჩაგიყრიან. როგორ შეიძლება, ზაზა თურმანიძის მწვრთნელობიდან გადაყენებაზე იფიქრო, როცა მან და თუნდაც „კლასიკოსების“ მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ წლების წინ დანგრეული საქმე ნულიდან დაიწყეს. მედლები სანატრელი გვქონდა, შარშან კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდური პირველობა მოვიპოვეთ. მაშინ სად იყვნენ? ვის არ დასცდენია ფეხი, მაგალითად, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონმა და ვარსკვლავებით გაძეძგილმა საფრანგეთმა სენეგალთან წააგო...

*დასასრულ, ელდარ კურტანიძემ კიდევ ერთხელ განმარტა, ჩემს მარცხში ბრალი მხოლოდ მე მიმიძღვის. ახლა ტიტანური შრომითა და მსოფლიოს, ევროპისა თუ ოლიმპიური ჩემპიონობით უნდა მოვიპოვო დაკარგული. ელდარმა ისევ მოქალიკეების გასავონად განაცხადა — ამ 4 წელიწადში მთელ სიცოცხლეს ვდებ და ვისაც ჩემი წარმატებისა არ სჯერა, უჯობს, გამეცალოსო.*

**ილია ნანობაშვილი**



# ჯულია, სად, სად მავლენ ხელს?

## დიდ კლიჩკოს ტაისონის წამქცევი დაუჯახეს

*ჯრივის სამყაროში უცნობილესი ძმები – 33 წლის ვიტალი და 28 წლის ვლადიმირ ჯლიჩკოები მორიგ „შოუს“ სთავაზობენ გულშემატკივრებს. მოგეხსენებათ, უკრაინელი გოლიათები მხოლოდ ჯრივით როდი შოულობენ „პურს თავიანთი არსობისას“. ამ დღეებში ისინი თავიანთი ავტობიოგრაფიული წიგნის – „ძმურად“ – პრეზენტაციას გეგმავენ*

ვლადიმირ და ვიტალი კლიჩკოები მუშტის დაშვებას ჯერ არ აპირებენ

ვიტალი და ვლადიმირი ამ წიგნში წერენ ჩერნობილზე, სამხედრო სამსახურზე და, რა თქმა უნდა, სასიყვარულო თავგადასავლებზე. ვლადიმირი უფრო შორს ტოპავს და თვით ჯულია რობერტსთან პიკანტურ ურთიერთობებს გვიმხელს, როდესაც ისინი გადაიღეს ფილმში „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“.

ვლადიმირი წერს:

„ჯულია გადასარევი იყო. თანაც მხოლოდ ერთი პირადი მცველი ახლდა. თავიდან მის შეხედვასაც კი ვერ ვბედავდი, მაგრამ ზადაღების ერთ მომენტში ვიგრძენი, როგორ შეახო ხელი ჩემს ..., შემიძლია, დავიფიცო, იგი გაშტერებით უყურებდა ჩემს ორგანოს — ჰყვება ჭკუიდან გადასული უმცროსი კლიჩკო — იმავე საღამოს ჯულიამ თავად დამპატიჟა საღამოს დისკოთეკაზე. ჩვენ ჩახუტებულები ვცეკვავდით და დღესაც მახსოვს მისი ხელების შეხება.“

უკრაინელი მოკრივე დისკოთეკის შემდეგ მომხდარ ამბებს კომენტარს აღარ უკეთებს, თუმცა... ლობიოს ხომ არ დაჩენჩავდნენ? ვლადიმირი სკოლისა და სტუდენტობისდროინდელ სასიყვარულო რომანებსაც იხსენებს — რა დრო იყო, ცნობილ უკრაინელ მოდელ დიანა კოვალჩუკთან ერთად ნიუ იორკში ბროდვეიზე და თვითმფრინავში რომ ვნებივრობდი, ეს პერიოდი ყველაზე რომანტიკული იყო ჩემს ცხოვრებაშიო...

ეს სიყვარულზე, პაჩიპუჩზე და რამერუმეებზე, ახლა კი კრივზეც ვთქვათ: გუშინ გაცხადდა, რომ ზემძიმე წონაში WBC-ის (საბჭოს) ქამრის მფლობელი ვიტალი კლიჩკო II დეკემბერს ნიუ იორკში „მედისონ სკვერ გარდენში“ ბრიტანელ დენი უილიამსს მოუქნევს მუშტს. უილიამსის მენეჯერი ფრენკ უორენი ამერიკაში იყო, სადაც ძმები კლიჩკოების პრომოუტერულ კომპანია „K2 პრომოუშენთან“ საჩემპიონო ბრძოლა მოაკვარახჭინა.

უორენი სიამოვნებისგან ხელების ფშვნეტით ელოდება ხმაურიან გამარჯვებას: „ვიცი, ვიტალი კლიჩკო ყველგან და ყოველთვის ფავორიტია, მაგრამ ჯობს, ძმებმა ნაკლები ილაპარაკონ და შანსები არ გადააფასონ. რაც უფრო განწირულ აუტსაიდერად ჩათვლიან უილიამსს, მით უფრო გაგვიადვილდება მოგება. WBC-ის ქამრით დაბრუნება სასწაულ პრესტიჟს შემატებს ბრიტანულ კრივს.“

ლონდონელი დენი უილიამსი ის კაცია, არცთუ დიდი ხნის წინ მსუქანკისერა ლეგენდა მაიკ ტაისონი რომ დასცა. უილიამსი WBC-ის რეიტინგში ოდენ მეცხრეა, პროფესიულ რინგზე კი სულ 32 გამარჯვება (27 ნოკაუტით) და 3 მარცხი მოუგროვებია.

33 წლის ვიტალის კი პროფკარიერაში მხოლოდ ლენოქს ლუისთან გახმაურებულ ბრძოლაში და 4 წლის წინ კრის ბერდთან აქვს მუშტები ჩამოშვებული, ხოლო 34 მოგებული მუშტი-კრივიდან მხოლოდ ერთი ვერ დაამთავრა ნოკაუტით.

**ილია ნანობაშვილი**

# აქაც საფრანგეთია

## მდივანი მეორე დივიზიონშიც სჭირდებათ

**ამას წინათ გიორგი მდივანი საფრანგეთის ჩემპიონ „პო ორტეზიდან“ მეორე დივიზიონის „ეპინალში“ გაანათხოვრეს და ეს ტრანსფერი მას შესაძლოა, ბევრმა უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაუთვალოს. ეგებ, მართლაც ასე იყოს, მაგრამ თავად მდივანი სხვა აზრისაა და „ეპინალშიც“ საკუთარი ინიციატივით წავიდა, მეტს ვითამაშებო. გიორგის ახალი გუნდი მეორე დივიზიონის ფავორიტია, წინა სეზონში ერთი ნაბიჯი დააკლდა უმაღლესში აღსაზევებლად და წლეულსაც ეცდება ელიტაში გარევას. მდივანს გუშინ რომ შევეხმიანეთ, ეპინალიდან ბეზანსონში მიდიოდა ამხანაგური მატჩის სათამაშოდ...**

**— სად ჩემპიონი „პო ორტეზი“ და სად მეორე დივიზიონის „ეპინალი“, რატომ დათანხმდი სუსტ გუნდში წასვლას?**

— არავის უთქვამს, „ეპინალში“ წადიო, ეს თავად ჩემი ინიციატივა იყო. „პო ორტეზში“ დარჩენა შემეძლო, მაგრამ წასვლა ვარჩიე. სკამზე ჯდომას მერჩივნა, შედარებით სუსტ გუნდში სისტემატურად მეთამაშა.

**— არ იყო შესაძლებლობა, უმაღლესი დივიზიონის რომელიმე გუნდში გადასულიყავი?**

— ამ შემთხვევაში, „პო ორტეზთან“ კონტრაქტი უნდა გამეწყვიტა, რადგან იჯარის წესით უმაღლესი დივიზიონიდან მხოლოდ ქვედა დივიზიონში შეიძლება წასვლა. „ეპინალიც“ არაა მთლად სუსტი, უმაღლესში გადასასვლელად იბრძვის — ბოლო სეზონში საამისოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა, მესამე ადგილზე გავიდა.

**— დარწმუნებული ხარ, რომ, „ეპინალში“ ხანგრძლივად ითამაშებ?**

— ხუთეულის წევრი ვარ და მოედანზე მინიმუმ 30-35 წუთს გავატარებ. თუ თამაშის გარანტია არ მექნებოდა, აქ როგორ წამოვიდოდი?!

**— კარგა ხანია, ახალ კლუბში მიხვედი და ალბათ ითამაშე კიდეც...**

— მესამე კვირაა, აქ ვარ, მაგრამ აქილევსის მყესი მქონდა დაჭიმული და ვერ ვვარჯიშობდი. რამდენიმე დღეა, ვარჯიშს შევუდექი და ორი მატჩი უკვე ვითამაშე. თავიდან „ბეზანსონს“ შევხვდით და დასანანად, ბოლო წამებზე ერთი ქულით დავმარცხდით, შვეიცარიის ჩემპიონმა „ბოურმა“ კი იოლად, 20 ქულით მოგვიგო. ტრავმა ახალი მოშუშებული მქონდა და მწვრთნელი მოერიდა ჩემს დატვირთვას — ბევრი არ მითამაშია, თუმც უკმაყოფილოც არ დავრჩენილვარ. „ბეზანსონთან“ 9 მოხსნა და 8 ქულა გავაკეთე, თუმც ამ საღამოს ამავე გუნდთან უფრო მეტს ვგეგმავ. სწორედ ახლა მივდივართ ამხანაგური მატჩის სათამაშოდ და მწვრთნელი დამპირდა, სულ მოედანზე იქნებიო. ქუსლი აღარ მაწუხებს და სრული დატვირთვით შემიძლია თამაში.

**— თუ „ეპინალი“ ელიტაში ინაცვლებს, მანდ დარჩები თუ ისევ „პო ორტეზში“ დაბრუნდები?**

— „პო ორტეზთან“ ერთწლიანი კონტრაქტი დამრჩა და მერე გადწყდება, დამტოვებენ თუ გამიშვებენ პოელები. ვნახოთ, წინ მთელი სეზონია და ყველაფერია მოსალოდნელი.

**— „ეპინალს“ ჰყავს ლეგიონერები?**

— ერთი ამერიკელი და რამდენიმე აფრიკელი, თუმც ისინი ლეგიონერებად არ ითვლებიან, ფრანგული პასპორტები აქვთ. ლიმიტი აქ მხოლოდ ამერიკელებზეა და ამიტომაც საფრანგეთის მეორე დივიზიონში ბლომად ევროპელი თამაშობს. აქ საკმაოდ მაღალი დონეა, ბევრით არ ჩამოუვარდება უმაღლეს დივიზიონს. ასე რომ, აქ მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარება შედარებით ძლიერ კლუბში დასამკვიდრებლად. სხვათა შორის, აქ არანაკლები პირობები მაქვს, ვიდრე პოში მქონდა. კლუბმა მშვენიერი სახლი მომცა, მანქანაც მყავს და კვებაც უფასოა. თანაც ეპინალი ძალიან პატარა, მყუდრო ქალაქია და მთლიანად კალათბურთით ვცხოვრობ, გართობაზე არ გამირბის თვალი.

**— გავიგეთ, ამ ზაფხულს ამერიკაში აპირებდი წასვლას...**

— მინდოდა, მაგრამ ვიზის გაკეთება ვერ მოვასწარი. ლას ვეგასის საზაფხულო კემპზე მიმიწვიეს ამერიკელმა მწვრთნელებმა, რომლებმაც ივლისში ბარსელონაში მხანეს.

**— რა ხდებოდა კატალონიაში?**

— ნბა-ს რამდენიმე კლუბის ასისტენტი მწვრთნელები იყვნენ ჩამოსულები და ვარჯიშები ჩაატარეს. ამერიკელებსაც იქ მოვეწონე, თუმც, სამწუხაროდ, ლას ვეგასში ვერ წავედი. ახლა ამაზე აღარ ვფიქრობ, 8 ოქტომბერს საფრანგეთის ჩემპიონატი იწყება.

**ირაკლი პერტაია**



# სამქულიანი უყვარდა

## ჯამალ მაშბურნი წავიდა

რა არის ეს ცხოვრება. იყო კაცი და აღარ იქნება...

განა ცოტანი წასულან, ან წავლენ. ბოლოს ყველა მიდის, მაგრამ ახლა ამ კაცზე ვილაპარაკოთ. ძალიან დააკლდება ნიუორლეანელ „კრაზანებს“ ჯამალ მაშბურნი, კაცი მრავალღონე და მრავალქულიანი, ჭეშმარიტი წინამძღოლი და უკან არაფერზე დამხევი...

სულ რაღაცა ტკიოდა, აწუხებდა, მაგრამ ტკივილს უძლებდა და ცხოვრებისგან კარგს ელოდა. მისგანაც ელოდნენ...

მეტოქესთან მეტოქეობა იცოდა, თანაგუნდელებთან თანაგუნდენელობა. კარგი სამქულიანი იცოდა, მტერს რომ გულში მოხვდება, ორქულიანიც უყვარდა. სხვის კისერზე არასდროს ყოფილა ჩამოკიდებული, ქულები შემოჰქონდა...

წლები გადიოდა...

მისი გზა ოქრო-ვერცხლით მოფენილი არ ყოფილა. ჰა, ერთხელ ოლ სტარში თამაში არგუნა ბედმა. მაგრამ კარგი ბიჭი იყო და თავისი ტკივილიანი ცხოვრება ჰქონდა. ბევრჯერ დაცემულა მუხლზე, მაგრამ წამოდმდგარა, ახლა კი მისი დროც დადგა.

ჯამალ მაშბურნი 31 წლისა ემშვიდობება დიდ კალათბურთს.

გუშინწინ ექიმებმა ცხოვრების მწარე განაჩენი წაუკითხეს — შენი მარჯვენა მუხლი ამდენს ვეღარ გაუძლებსო და ერთწლიანი უმოქმედობა გამოუწერეს. ბევრჯერ მოსვლია, სეზონი დაუწყია და ვეღარ დაუმთავრებია. ასეც ხდებოდა, ვერ დაუწყია და ბოლოსღა წაუშველებია ხელი მეგობრებისთვის. ისინი იქ წვალობდნენ, მოედანზე, ეს კი, ცხოვრებისგან გაწვალებული მათი ლიდერი ტრიბუნაზე, ნემსებზე იჯდა. და თუ ინსტიქტი სკამიდან წამოაგდებდა, ათასი ნემსი ერჭობოდა მუხლში და სკამზევე აბრუნებდა...

წინა სეზონში 63 თამაში გამოტოვა...

ახლა უთხრეს, კიდევ ერთი წელიო...

ცოტა ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, ეგებ გადაერჩინათ ექიმებს, რაღაცას შველოდნენ კიდეც, მაგრამ ამდენი ოპერაციის შემდეგ ესეც ვეღარ შველოდა. დაიღალა ბოლო-ბოლო. შეკრიბა ჟურნალისტები და უთხრა — „მე წავედი!“

მაგრამ სანამ კაცი ცოცხალია, მის გულში იმედის ნაპერწკალიც ღვივის. რა იქნება ერთი წლის შემდეგ? ვინ იცის, ვინ იცის...

ჯამალ მაშბურნი კალათბურთით ცხოვრობდა, ახლა კი იმედით იცოცხლებს.

**კოტე ჯანგავაძე**



# მანდ რა გინდა?

## ამხელა ჯორჯ კარლი აიდაჰოში დასახლდა

**ნბა-ს** ერთ-ერთი ავტორიტეტული სპეციალისტი, ამერიკის ეროვნული ნაკრებისა და არაერთი კლუბის გამწვრთნელი ჯორჯ კარლი ამერიკის რიგითი საკალათბურთო ლიგის, სი-ბი-ეის „აიდაჰო სტამპიდის“ მეწილე ხდება. დიდი ვერაფერი ვაუკაცობაა ნბა-ზე გვარიანად დაბლა მდგომი ლიგის გუნდის მეწილეობა, მაგრამ, რაკი კარლი ამერიკის საკალათბურთო ელიტის ღირსეული წარმომადგენელია, ეს ამბავიც იმიტომ მოხვდა ჟურნალისტთა თვალთახედვის არეში.

სი-ბი-ეის ლიგა კარლისთვის ერთგვარი ტრამპლინი გახლდათ 80-იან წლებში, სწორედ ამ ლიგაში წარმატებულმა მწვრთნელობამ გაუხსნა გზა ნბა-ს გუნდებისკენ. სხვადასხვა დროს იგი წვრთნიდა „მილუოკის“ „კლივლენდ კავალიერს“ და „ფოლდენ სტეიტს“, თუმც ყველაზე დიდ წარმატებას სიეტლში მუშაობისას მიაღწია — 1996 წელს „სუპერსონიკ“ ფინალში გაიყვანა.

კარლს ყველაზე ცუდად 2002 წელი გაახსენდება, როცა ინდიანაპოლისში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გაწვრთნილი „დრიმ თიმი“ სამჯერ დამარცხდა და მედლის გარეშე დარჩა.

**ირაკლი პერტაია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge